XXVI 6999 № 4 XXVI

ეროვნული ბიბლიოთეკა




აპრილი 1915 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## ჟურნალ „ჯეჯილისა"

I —უნდა გაგალამაზო! სურათი . . . . . . . 194
II ობობა. ლექსი შ. მღვიმელისა . . . . . . . . 195
III გულნარა და მზე . . . . . . . . . . . 197
IV შირაქში, ივ. გომართელისა (შემდეგი იქნება) . . 202
V სამართლის ზარი (იტალიანური თქმულება) კუდრაჭასი 211
VI ალება, (დასასრული) . . . . . . . . . . 214
VII ნიკო ლომოური (სურათით) ეკ. გაბაშვილისა . . 226
VIII წვრილმანი: გამოცანები, ზმა, რებუსი და ახსნა . 230

---

IX ჩემს კერას, ლექსი გ. დ. ჭრელაშვილისა . . . . 231
X პელლე ცოცხალია და კარგათ არის, თარგმ. ეკ. მ—ხისა 232
XI ამბავი ზესკნელისა წერილი მესამე. კუდიანი ვარსკვლავი ილია ალხაზაშვილისა . . . . . . . . 241
XII უცხოეთში ლექსი ი. მჭედლიშვილისა. . . . . 250
XIII ნიკო ლომოური. ნეკროლოგი შ. ქ—ისა . . . 251
XIV ოსმალეთი. ხალხის ხასიათი (შემდეგი) ალ. ფ—ასი 254

---

# „ჯეჯილ"-ზე

## მიიღება ხელის მოწერა

## 1915 წლისა.

№ 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული

## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი.

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!.
ი. ჭ.

აპრილი, 1915 წ.

✦ წელიწადი მეოცდაექვსე ✦

თბილისი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1915

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— უნდა გავალამაზო!

# ოზოზა

(ია ეკალაძის გოგონა ჰქვას)



ცარბის, დახტის, დაცუქცუქებს
ჩვენი ჰეკუნია ქალი,
თვალები აქვს მუშტის ტოლა,
გეგონებათ ნაკვერჩხალი.

მაან მალე ანთებია
გულში სწავლის ნაპერწკა-
ლი,
სოლიკოკი მეუბნება:
„მიავ, უფრო უყვარს მსხა-
ლი“.

—არა, ბიჭო, რას მატყუებ,
ხომ არა ვარ ურმნით მთვრალი,
შენც გაჯობებს, ნანასაცა,
კარგი უჩანს მომავალი.

ახლავ არჩევს ავსა და კარგს
დედის გულის ნებიერი;

ეროვნული ბიბლიოთეკა
სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთვალთვალო როდი რჩება
არც პირუტყვი და არც მწერი.
რაც დილას სთქვა, ნასადილევს
ნათქვამი არ გაამრუდა:
თუთის ხეზე დამანახვა
ავაზაკი, სისხლის გუდა.
იცი ვინა? მრავალი ფეხა,
თქვენებურათ ობობელა,
გაიმვერას ფუტკრებისთვის
გზები ყველგან დაექსელია.
ვინც კი იქით გაივლიდა,
შიგ ბადეში აწყდებოდა,
უჩინარი აბლაბუდაც
ქანაობდა, არ წყდებოდა.
პეკამ რაკი მიმითითა
და მეც გავითვალისთვალე,
ავიღე და მკვდარ ფუტკრებზე
წუწკი ცხვირი მიუგალე...
დარბის, დახტის, დაცქრიალებს
ჩვენი პეკუნია ქალი,
სწავლას მოწყურებულია,
მოუგონეს რაღაც მსხალი!
გათენდება, იღებს წიგნებს,
სკოლისაკენ ურბის თვალი,
ღმერთო, გაუმლიერევი
პეკას სწავლის ნაპერწკალი!..

შიო მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულნარა და მზე

(ვუძღვნი გულნარა ა—ძეს)



შემოდგომის სუსხიანი დღე იყო. პატარა გულნარა სევდით სავსე მისჯდომოდა სარკმელს და მოწყენილი გადაჭყურებდა სახლის წინ გაშენებულს ბაღს, რომელიც ჯერ კიდევ საამურათ ყვაოდა და შემოდგომის სუსხს ჯერ კიდევ ვერ წაერთმია ფერი მის ვარდ-ყვავილებისთვის.

ოთხი წლის გულნარა საშინელი მოუსვენარი გოგონა იყო: მთელი დღე კაჭკაჭივით დახტოდა და ტიკტიკებდა. დღეში რამდენჯერმე მოურბენდა ბაღს, და ყველა ბუჩქს, ყვავილს დიდის თხოვნით სთხოვს თითო ყვავილს.

— მე ამ თაიგულს დედასთვის ვამზადებ. თქვენც ხომ გყავთ დედა? ჩემსავით გიყვართ თქვენც დედა? ვინ არის თქვენი დედა, ჰა! ასე ეტიტინებოდა გულნარა ყვავილებს და თან თაიგულს ჰკოცნიდა, რომ დედისთვის მიეტანა და სამაგიეროთ კოცნა მიეღო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვავილების გარდა გულნარას მალიან უყვარდა ჩიტე-ბიც. მალიან ართობდა იმათ ჭიკვილ-ხივილით, ბუჩქი-დან ბუჩქზედ ხტომა. თითონაც აჰყვებოდა და ტიტინი ხან ერთ ბუჩქთან მიირბენდა, ხან მეორესთან და თან ეხვეწებოდა:

— ჩიტუნებო, ჩიტუნებო, მომიცათ, რა არის, მეც მინდა თქვენთან წამოვიდე; მაჩვენეთ თქვენი ბუდე! სადა გყავთ ბარტყები? მე ისინი მალიან მიყვარან. მე მათ პურის ნამცეცებსაც მოუტან და კანფეტებსაც. ხომ უყვართ კანფეტები, ჰა? ამ რიგათ გულნარა ყვა-ვილებთან და ჩიტებთან ბაღში ატარებდა დღეებს, მაგრამ ეს ერთი კვირა ავდარის გამო გულნარა კა-რში ვეღარ გასულიყო და სევდიანი გაჰყურებდა სა-რკმლიდან თავის პატარა მეგობრებს.

— გულნარა! რატომ შენ სათამაშოებს არ მო-ჰკრეფამ, ან არას დახატამ? შენ ხომ ხატვა გიყვარს! გამოელაპარაკა დედა.

— არ მინდა სათამაშოები, კარში მინდა, დედა, ბაღში ყვავილებთან, მიუგო თვალებზედ ცრემლ მო-მდგარმა გულნარამ.

— კარში არ შეიძლება, ჩემო გოგონი, წვიმს, ლაფია, ცივა, აბა სად წახვალ? ყვავილებსაც ვერ დაჰკრეფ, რადგან სველია, აბა რას გააკეთებ კარში?

— ყვავილებსაც ხომ სცივათ, დედა, ჰა? ხედავ ჩიტებიც როგორ მობუზულან, მერე რა ეშველებათ, ვინ გაათბობთ?

— მზე, ჩემო პატარავ, მზე! აი მალე გამოიდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს, მზე გამოვა, ეგენიც გაშრებიან და შენც ჩვეულებრივ დაიდგებ ბაღში სირბილს.

— სად არის, დედა, მზე რატომ აღარ გამოდის?

— ის ისევ ჩვეულებრივ ამოდის, ჩემო კარგო, ცაზედ, ხოლოთ დრუბლები ჰფარავენ მის სხივებს და იმისთვის ჩვენ მას ვეღარ ვხედავთ.

— დედა, მე უნდა მზეს წერილი მივსწერო.

— აბა რა უნდა მისწერო? ჰკითხა დედამ.

— უნდა ძალიან შევეხვეწო, რომ გამოშორდეს დრუბლებს და დაგვენახოს, მივწერამ, რომ მომეწყინა ოთახში ჯდომა, რომ ყვავილებსაც სცივათ, ჩიტებსაც, შევებრალებით და გამოვა მზე!.. არა, დედა!

— მზე ძალიან კეთილია, უეჭველათ შეგისრულებს თხოვნას, გულნარა! ხოლოთ ვის გაატან წერილს?

— ჩიტს, დედა, ჩიტს! მიუტან და ვეტყვი, რომ მზეს წაუღოს, დაავლებს ნისკარტს, გაფრინდება და წაიღებს მზესთან.

— აბა, აბა, დასწერე. ეგ ძალიან კარგი მოიფიქრე, გულნარა! უთხრა დედამ და მოჰშორდა. გულნარას დედამ კარგათ იცოდა, რომ გულნარამ ჯერ არც ერთი ასოს დაწერა არ იცოდა და უნდოდა ენახა, როგორ წერილს მისწერდა მზეს.

— გულნარა გახარებული წამოხტა, დედას ქაღალდი და ფანქარი მოსთხოვა და საწერ მაგიდას მიუჯდა. პატარა ხანს უკან წერილი მზესთან მზათ იყო.

— დედა, დავწერე წერილი, აი წაიკითხე! მიურბენინა დედას და გაუწოდა ათასნაირი ხახებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რგოლებით და უჯრებით სავსე ქაღალდი.

— შენ წამიკითხე, გულნარა, მე კი ყურს დაგიგდებ, უთხრა დედამ.

— გულნარამ სერიოზული სახის გამომეტყველობა მიიღო, ქაღალდს დააცქერდა და დაიწყო მძიმე მძიმეთ ლაპარაკი, თითქმის კითხულობდა:

„მზევ, მე გულნარა მქვიან...მე ძალიან მიყვარს ყვავილები და ჩიტები...მთელი დღე კარში დავრბივარ. ეხლა კი სულ შინა ვზივარ....კარში ლაფია, წვიმს და ძალიან ცივა...მეც გეხვეწები, ჩიტებიც და ჩვენი ბაღის ყვავილებიც, გამოდი და გააშრე მიწა, რომ მე ჩვენ ბაღში ვირბინო....დედა ამბობს, რომ შენ ძალიან კეთილი ხარ და შეგებრალება ყვავილებიც, ჩიტებიც....ჩიტები აღარ ჭიკჭიკებენ, ძალიან სცივათ და მობუზულები სხედან, გულნარა შედგა და დედას დაუწყო ყურება.

— გაათავე? ჰკითხა დედამ.

— ჰო! ეხლა ჩამაცვი თბილათ, ბაღში ჩავალ, ღობეზედ დავდებ და ჩიტი წაიღებს მზესთან!...გულნარას თბილათ ჩააცვეს და მოჰკურცხლა ბაღისაკენ. ვერ მოასწრო გულნარამ წერილის ღობეზედ დადება, რომ დაჰქროლა შემოდგომის ცივმა ქარმა და გულნარას წერილი შორს ჰაერში გააფრიალა. გულნარა სიხარულით ფეხზედ აღარ იდგა, რომ ხედავდა, როგორ მიდიოდა მაღლა მაღლა მისი მზესთან მიწერილ ი წერილი.

— გახარებულმა მოჰკურცხლა შინისკენ, აღტაცებული უამბობდა დედას, როგორ არც კი დასჭირ-

და მას ჩიტის თხოვნა და თავის თავათ, როგორ წავიდა მისი წერილი მზესთან.

გავიდა რამდენიმე დღე. შავი ღრუბელი კვლავ გასწოლოდა ცას და მიწამდის აღარ უშვებდა მზის თბილ სხივებს. გულნარა კვლავ სევდით სავსე გაჰყურებდა ბაღს, მალიან გულნატკენი იყო მზისაგან, რომ მზემ მისი თხოვნა არ ისმინა და არ გამოვიდა ღრუბლებიდან.

— აკი სთქვი, დედა, მზე მალიან კეთილია, გაგიგონებსო? აკი ძალიან შევეხვეწე, რატომ არ გამოდის? ეკითხებოდა გულ-ნატკენი გულნარა დედას.

— ცოტა ხანი კიდევ მოიცადე, გულნარა, ცოტაც და მზე უეჭველათ შეასრულებს თხოვნას და გამოიდარებს, ანუგეშებდა დედა.

გავიდა კიდევ რამდენიმე დღე და ერთ დილით რაღაც არაჩვეულებრივი სითბო იგრძნო თვალებში მძინარე გულნარამ. გულნარამ თვალები გაახილა, მაგრამ იძულებული იყო ისევ მოეხუჭა, რადგან ფანჯრიდან მზის ცხელი სხივები შიგ თვალებში მისდგომოდა და ულიტინებდა. თითქოს ეუბნებოდა: „ადექ, ადექ, გულნარა, აი ჩვენ შენი თხოვნა შევასრულეთ და მოვედით, რომ გავათბოთ შენი ყვავილები და ჩიტები, ჩვენ მათ კიდეც ვესტუმრეთ და შენ კი ისევ წევხარო“. მზის დანახვაზედ გულნარას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ძლივს მოასწრეს ჩაცმა, გულნარა წუთს ბაღში გაჩნდა, დაურბინა სათითაოთ ვარდებს, ყვავილებს, ჩიტებს და თავმოწონებით უამბობდა, როგორ მისწერა მზეს წერილი თავის და მათ მაგიერ და მზემაც, როგორ შეუსრულა თხოვნა.

**სევდია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შირაქში

## VI

მთელი ღამე ელენე, ვახტანგი და ალექსანდრე გარეთ იყვნენ და ბავშვებს დაეძებდნენ.

სადგურზე ბევრი იარა ალექსანდრემ, ვაგონები დაათვალიერა, სადგურის ჟანდარმებსა და სადგურზე მყოფ ხალხს ჰკითხა ამ ნაირი, ამხელა ბავშვები ხომ არ გინახავთო ბატკნებიანაო, მაგრამ ვერაფერი ვერ გაიგო.

ელენემ და ვახტანგმა დაიარეს ნაცნობი და ნათესავები, ქალაქს გარეთ გავიდნენ ვაკე, საბურთალო შემოიარეს, ორთაჭალაში ჩამოვიდნენ, გზაზე პოლიციელებსა ჰკითხავდნენ და საქმის გარემოებას უწერდნენ, მაგრამ ბავშვების ასავალ დასავალიც ვერ გაიგეს.

ალექსანდრემ პოლიციას შეატყობინა დილით ადრე, რომ შესაფერი ზომები მიეღო, მაგრამ არავინ არ იცოდა ბავშვები თითონ წავიდნენ სადმე თუ მოიტაცა ვინმემ.

მეორე დღეს ვახტანგის ბინა ნაცნობებითა და ნათესავებით აივსო. ელენეს ტირილი ყველას გულს უკლავდა; ისე მოსთქვამდა თავის არჩიკოსა და ქეთოს თითქოს მკვდრები ეგულებოდა. თუმცა ყველა ანუგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებდა, რა უშავთ ბავშებს, სად დაიკარგებიან, დღეს თუ არა, ხვალ მაინც უსათუოდ გამოჩნდებიანო, მაგრამ ელენეს სევდა უნუგეშო იყო.

ვახტანგი თავის გულში ჩუმათ, უხმოთ იტანჯებოდა, თავის თავს ამტყუნებდა: რათ უთხარი ანიკოს უარი, რატომ არ დავპირდი ბატკნებს არ დავკლამო.

ამ საშინელ მდგომარეობაში გაიარა მეორე დღემ. ყველა თავ თავის საქმეზე წავიდა, ვახტანგი და ელენე მარტო იყვნენ, მათ პირში ხემსი არა ჩასულა-რა.

პეტრე სამზარეულოში იყო. ბავშვების დაკარგვამ ისიც ძალიან შეაწუხა, რადგანაც ეს ოჯახი და ბავშვები მას ძალიან უყვარდა.

— ვახტანგ თავლ-ჭრელაძე აქ დგას? შემოესმა პეტრეს.

— აქ დგას, რა გინდა? უპასუხა ფიქრიდან გამორკვეულმა პეტრემ ჩასკვნილ კინტოურათ გამოწყობილ ახალგაზრდას.

ეს ახალგაზრდა ჩვენი ნაცნობი მიხო იყო.

— შენ მისი რა ხარ?

— მე მზარეული ვარ.

— მაშ აი ეს წერილი მიეცი. მიხომ გადასცა წერილი პეტრეს და სწრაფათ გამობრუნდა.

ელენე ცრემლებისაგან დასველებულ ცხვირსახოცით თვალებს იწმენდდა და ვახტანგი გაფითრებული მაგიდასთან იჯდა, როცა პეტრემ წერილი შეიტანა.

ვახტანგმა უხმოთ გამოართვა, სწრაფად გახია და გადიკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად არის? ვინ მოიტანა, რა იქნა, მიმართა მან პეტრეს.

— კინტო ბიჭი იყო, ეს მომცა და წავიდა.

— არიქა, შენი ჭირიმე, იქნება დაეწიო, არაფერს ვერჩი თქო, არავის გავაგებიებ ოღონდ მობრუნდი თქო, არიქა, ჩქარა.

პეტრე სწრაფათ გამოტრიალდა, დაიხურა ქუდი და გავარდა ქუჩაში.

— რა ამბავია, რა წერილია?

— შვილები, ჩემი შვილები! წამოიძახა ვახტანგმა და დაიწყო ქვითინი.

ელენემ აკანკალებულის ხელებით აიღო წერილი და დაიწყო კითხვა: მალე ტირილი აუვარდა და ლოგინზე მიწვა.

რა ეწერა ასეთი იმ წერილში?

ის სახლი, რომელშიაც ჩვენი ბავშვები იყვენ, მიხოს ეკუთვნოდა. მიხო და გეურქა მთელი ღამე სახლში არ მისულან, რადგანაც შენიშნულები იყვენ და ეშინოდათ ღამე პოლიცია არ დაგვეცეს თავსო.

ღამე სამიკიტნო დუქანში გაატარეს, დილით ადრე იყიდეს პური, ხორცი და შემოაღეს სახლის კარი. ქეთოსა და ანიკოს ჯერ კიდევ ტკბილათ ეძინათ.

— აქ ხომ არავინ ყოფილა? დაეკითხა ნაზელის მიხო.

— არავინ, შვილო, აბა ვინ მოვიდოდა!

— აჰა, ხორცი მოხარშე, შენცა სჭამე, ბავშვებსაც აჭამე. ჩვენ საღამომდე არ მოვალთ, ბავშვებზე თვალ ყური გეჭიროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკეტა კარი და ორივემ გამოსწია ჩქარის ნაბიჯით. ჩამოვიდენ სირაჯხანაში, იყიდეს ქაღალდი და კონვერტი, შევიდენ სამიკიტნოში. მოითხოვეს ერთი ჩარექი ღვინო, ყველი, პური, წვანილი და მოუჯდენ მაგიდას. მიხომ წერა-კითხვა კარგათ იცოდა, მოატანინა მელანი, გაშალა ქაღალდი და დაიწყო წერა: „შენი შვილები ქალი და ვაჟი ჩვენ მოვიტაცეთ, ტყუილა დაიწყებ ძებნას. პოლიციისა ჩვენ არ გვეშინია, სამი დღის ვადას გაძლევთ, თუ სამ დღეში ხუთასი თუმანი მოგიცია, შენ შვილებს ჩაგაბარებთ, თუ არა და მოჭრილ თავებს ტომრით მოგიტანთ. პასუხისათვის გელით აბანოებთან, თათრების ახალი სალოცავი რომ არის. თუ პოლიცია მოგიყვანია, ვაი შენი ბრალი, სააღდგომო ბატკნებივით დავჭრით შენ შვილებს ყელს“.

სამიკიტნოდან გამოსვლის შემდეგ გასწიეს ვერისაკენ, სადაც ვახტანგი იდგა, შორიდან აათვალიერ-ჩაათვალიერეს სახლი და საღამოს აი ეს წერილი გადასცა მიხომ პეტრეს...

პეტრემ ბევრი ეძება ქუჩაში მიხო, მაგრამ ვეღარსად ვეღარ მოატანა თვალი და ხელ ცარიელი სახლში დაბრუნდა.

— ვერსად ვეღარ ვნახე, ბატონო, მოახსენა ვახტანგს და დაბრუნდა სამზარეულოში.

— ასე ტირილი რას გვარგებს, უნდა საქმეს შეუდგეთ, მიმართა ვახტანგმა ცოლს: მადლობა ღმერთს, რომ ცოცხლები ყოფილან.

— სად უნდა ვიშოვოთ ხუთასი თუმანი!

ეროვნული

— ამისთანა დროს ყველა გაგვიმართავს ხელს, წარმოსთქვა ვახტანგმა, თუმცა თითონაც არ იცოდა სად უნდა ეშოვნა ამოდენა ფული.

თავისი შრომით რასაც შოულობდა, ძლივს ჰყოფნიდა, შენახული არა ჰქონდა-რა და ხუთასი თუმანი ადვილი საშოვნელი არ იყო.

— ისევ ალექსანდრესთან წავალ და ერთათ მოვაგვარებთ რასმე. შენ კი ახლა დამშვიდდი, ბავშვებს არა უშავთ რა, ამ სამ დღეში აქ იქნებიან, მადლობა ღმერთს, რომ ასე ყოფილა საქმე, თორემ რომ სადმე გადავარდნილიყვნენ ან წყალში დამხრჩვალიყვენ რაღა გვეშველებოდა? ვახტანგმა დაიხურა ქუდი და გაეშურა ალექსანდრეს ბინისაკენ. გზაში სულ იმას ფიქრობდა, ვერ წარმოედგინა, როგორ მოიტაცეს ასე ბავშვები, როცა მას ეძინა.

## VII

ქეთომ და ახიკომ, როცა თვალები გაახილეს, პირველათ არ აცოდნენ, ვერ წარმოედგინათ თუ სად იყვნენ.

ჩემი ბატკნები სად არიან? უცებ წამოიძახა ახიკომ, წამოხტა ზეზე, ფეხშიშველი გავარდა მეორე ოთახში, იქიდან ეზოში და რა დაინახა ბატკნები, დამშვიდდა. ბატკნები თუთის ქვეშ წამოწოლილიყვენ და ერთმანეთზე თავები გადაედოთ.

— ბიჭო, სად მიდიხარ, რა გინდა? გაისმა ნაზელის ხმა.

— იცი, ქეთო, რა ვნახე სიზმარში? წარმოსთქვა ახიკომ, როცა ოთახში შემოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა ნახე?

— ვითომ ჩვენი ბატკნები პეტრეს დაეკლა, ლურსმანზე ჩამოეკიდა ფეხით და ატყავებდა.

ბავშები მარდათ წამოხტენ, ჩაიცვეს, პირი დაიბანეს და მოუჯდენ მაგიდას სადაც ნაზელის უკვე დაემზადებია ჩაი.

ქეთო მიეჩვია თავის მდგომარეობას და დღეს უფრო მხიარულათ იყო. აჩიკო ხომ ისე გრძნობდა თავს, როგორც საკუთარ სახლში.

— ქეთო, რატომ ჩვენსა არ არის პური და ჩაი ასე გემრიელი? დაეკითხა აჩიკო და კარგა მოზრდილი ლუკმა იგდო პირში.

ქეთოს სიცილი წასკდა, ნაზელმაც გაიცინა.

— დიდედა, ახლა ბატკნებს უნდა ვაჭამოთ პური! დაიწყო აჩიკომ, როცა კარგათ გამოძღა.

— ეჰ, შვილო, ბატკნების საჭმელი პური სადა გვაქვს, რას ლაპარაკობ.

— იჰი, ჩვენ რომ გავძეხით, განა ბატკნებს არ უნდათ? სახლში სულ პურს ვაჭმევდით.

— შვილო, თუთის ფოთლები მოუგლიჯეთ და აჭამეთ.

ცოტა ივაჭრეს ბავშვებმა, აღუთქვეს, ჩვენ ჭკვიანათ ვიქნებით, არ ვიცელქებთ არ ვიყვირებთ, ოღონდ ბატკნებისათვის ცოტა პური მოგვეციო. ნაზელიც დასთანხმდა და თან მოხვენებულიც იყო, რადგანაც ბავშვები ბატკნებზე გულს იოლებდენ და თვალ-ყურის დევნება საჭირო არ იყო.

როდესაც ბატკნების ალერსით საკმაოთ გაძღენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ტუსაღები, თუთის ერთ ტოტზე საქანელას გაკეთება მოისურვეს, მაგრამ თოკი არსად იყო.

— დიდედა, დიდედა, მიაშურა აჩიკომ მოხუცებულს, თოკი არა გაქვს, თოკი?

— თოკი რათ გინდა, შვილო?

— საქანელას გავაკეთებთ და ვიქანავებთ.

აჩიკოს განზრახვა ნაზელისაც მოეწონა, შეუ-ლოგინს ქვეშ ხელი და გამოიღო კარგა მოსხო თოკი.

აჩიკომ გამალა თოკი, მარდათ გადააგდო ერთი თავი თუთის სწორა გაშვერილ ტოტზე, ხელათ შეჰკრა საქანელა და გამხიარულებულმა ბავშვებმა სრულებით დაივიწყეს ყოველისფერი.

— იცი, ქეთო! ერთ რამეს გეტყვი და ნაზელის არ უთხრა, იცოდე.

— არ ვეტყვი.

— დედა დაიფიცე.

— დედა არ მომიკვდეს არ ვეტყვი.

— მე და შენ აქედან გაპარვა შეგვიძლიან.

— რა ნაირათ, აჩიკო?

— აი როგორ, ჩვენ უნდა ავიდეთ ხეზე. სხვილი ტოტი რომ არის გაშვერილი იქიდან ბანზე გავალთ. თოკი ბუხარს მოვაბათ და ჩავცურდეთ ქუჩაზე.

— მერე ხომ დაგვინახავენ!

— ისინი ხომ სახლში არ არიან, ვინ დაგვინახავს!

— ვინ და ნაზელი.

— ნაზელის ხომ სულა სძინავს, ვერაფერსაც ვერ გაიგებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთა მართლაც ისე ახლოს იყო სახლთან, რომ იქიდან ბანზე გადასვლა სრულებით ადვილი იყო, მით უმეტეს ჩვენი ბავშებისათვის, რომლებიც ხეებზე ასვლას დაჩვეული იყვენ სოფელში.

როცა აჩიკო ზაფხულზე სოფელში ჩავიდოდა ბებიასთან, გაიხდიდა ფეხსაცმელებს და თვალის დახამხამებაზე უშველებელ ხეებს ზედ წვეროზე მოექცეოდა.

— არ გადმოვარდე, ბიჭო, არ დამღუპო, მიაძახებდა ხოლმე ბებია, აჩიკო კი მაღლა ხის ტოტზე შესკუპებული ხითხითს დაიწყებდა ხოლმე. ქეთოს პირველ ხანებში ეძნელებოდა ხეზე შესვლა, მაგრამ რაკი აჩიკო წლითა და ნახევრით იმაზე უმცროსი იყო, ცოტა ერცხვინებოდა, აჩიკომ როგორ უნდა მაჯობოსო: ამიტომ ისიც ცდილობდა ხეებზე ასვლას და ბოლოს იმასაც ეადვილებოდა.

ქეთოს სიხარულს სამზღვარი არა ჰქონდა. ის ახლა სულ იმის მოფიქრებაში იყო, როგორ ავიდოდენ ხეზე, იქიდან ბანზე, როგორ ჩაცოცდებოდენ თოკზე და იქიდან მოუსვამდენ სახლისაკენ.

ის სახლი, რომელშიაც ისინი იყვენ დატუსაღებულნი, საკმაოთ დაბალი იყო და აჩიკოსთანა მარდი ბავში კიდეც რომ გადამხტარიყო ბანიდან ქუჩაში მაინც არა დაემართებოდა-რა.

— აჩიკო, ბატკნებს რაღა უყოთ? მოწყენილის ხმით დაეკითხა ქეთო.

— ბატკნებს რა ვუყოთ და პეტრე გამოვგზავნოთ, ცოტა მოფიქრების შემდეგ წარმოსთქვა აჩიკომ.

— პეტრე როგორ მოაგნებს მერე?

— ჩვენ ვასწავლით.

— მერე, ჩვენ რომ არ ვიცით ეს რა ქუჩა არის.

— ნაზელის ვკითხოთ.

— დიდედა, დიდედა, გაიქცა აჩიკო ნაზელისთან, ამ ქუჩას რა ჰქვიან?

— რა ვიცი, შვილო, სეიდაბადის ქუჩას უძახიან.

აჩიკომ რამდენჯერმე გაიმეორა, რომ არ დავიწყებოდა და ქეთოსაც შეატყობინა.

— შენც იმეორე გულში და მეც, რომ არ დაგვავიწყდეს, დაარიგა ქეთომ.

ბავშები ჩუმათ დადიოდენ ეზოში და მთელი ნახევარი საათი იზეპირებდენ ქუჩის სახელს.

— მოდით, შვილო, სადილი სჭამეთ, არ მოგშივდათ? გაისმა ნაზელის ხმა.

ნაზელის ხორცი მოეხარშა, დასხა ბავშები და ისე გემრიელათ შეექცენ, რომ გამძღარსაც კი მადა მოუვიდოდა.

ნასადილევს ბავშებმა თავის ბატკნებსა და საქანელას მიმართეს და დიდხანს ერთობოდენ.

(დასასრული შემდეგ)

ივ. გომართელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამართლის ზარი

(იტალიანური თქმულება)



რთ მშვენიერ, დიდ ქალაქში, რომელსაც ერქვა ატრი ცხოვრობდა კეთილი და ჭკვიანი მეფე სახელათ იოანე. მეფეს უნდოდა, რომ იმის სახელმწიფოში ყოფილიყო ჩქარი, მართალი და უტყუარი სამართლის გადაჭრა. თვითონ მეფეს დრო არ ჰქონდა მოესმინა ყველა საჩივარი და გაესამართლებინა ისინი და ამიტომ ქალაქის მოედანზე დიდი ზარი დააკიდვინა და გასცა ასეთი ბრძანება: როგორც კი მოჩივარი ზარს დარეკავს, მსაჯული მაშინვე უნდა გამოვიდეს და მეფის სახელით გაასამართლოს მოჩივარი.

ყველას მოსწონდა მეფის განკარგულება: მდიდრებიც და ღარიბებიც კმაყოფილნი იყვნენ, რადგან იცოდნენ, რომ ყველა უსამართლობა დაისჯებოდა და ამიტომ ცდილობდნენ ერთი მეორესთვის არ ეწყენინებიათ, ისე რომ ზარს თანდათან იშვიათათ რეკავდნენ. დრო გადიოდა. ზარის თოკიც გაცვდა და მცხოვრებლებმა თოკის მაგიერ თივის კონა მიაბეს ზარის ჩამოსარეკათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ, შუა ზაფხულში, როცა ცხელოდა და ყველანი სადილთ უკან მოსვენებაში იყვენ, უცბათ მოედნიდან მოესმათ ძლიერი ზარის რეკა.

— ალბათ ვინმე ძალიან დაჩაგრეს და აწყენინეს, რომ ასე მწარეთ რეკავს! სთქვა ყველამ და მოედნისაკენ გაეშურა.

მაგრამ მოედანზე ზართან ახლოს არა ადამიანი არ დაუხვდათ. ხოლო ერთი ბებერი გაძვალ-ტყავებული ცხენი იდგა და თივის კონას პირით ეწეოდა, ეტყობოდა ძალიან მშიერი იყო. ზარიც ამ მიზეზით რასაკვირველია რეკავდა. მოსული მსაჯული ძალიან განრისხდა.

— ვისია ეს უბედური ცხენი! რა უნდა აქ?

— მსაჯულო, უთხრა მოწიწებით ერთმა მოხუცებულმა,—ეს ცხენი აი იმ მდიდრისაა, რომლის სასახლეებს და კოშკებს ხედავთ. როდესღაც ეს ცხენი პატრონს ემსახურებოდა ომის დროს და არა ერთხელ გადურჩენია იგი მას სიკვდილისაგან. ახლა ცხენი დაბერდა და რადგან პატრონს აღარ გამოადგება, კარში გამოაგდო და ამიტომ სადაც მოხვდება საჭმელს ეძებს.

მსაჯულს სახე მოეღუშა.—

— ახლავე მომგვარეთ ამის პატრონი! ბრძანა მსაჯულმა. გაკვირვებული მდიდარი მოვიდა თუ არა მსაჯულთან—მან ჰკითხა:

— მართალია, რომ მიგიტოვებია შენი ერთგული მეგობარი და ჰკლავ მას სიმშილით? შენ მოქცეულხარ ძალიან უსვინიდისოთ და სამარცხვინოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შერცხვენილმა მდიდარმა თავი ჩაღუნა, თავის გასამართლებელი არა ჰქონდა რა. ცხენისთვის უნდა სიკვდილამდის ყური ეგდო და თუ ასე არ მოიქცეოდა—დასჯა მოელოდა.

მოედანზე დამსწრე ხალხმა მოიწონა ეს გადაწყვეტილება.

— აბა, რითი არ ვარგა ჩვენი ზარი, ამბობდა სიცილით ხალხი—არა თუ ხალხს, თვით ცხოველებსაც ასამართლებს.

და დიდი ზეიმით და ამბით მიაცილეს ბებერი ცხენი საჯინიბომდის.

კუდრაშა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ალება

(დასასრული).



აგვიდგა ხორციელის ალე-ბის ღამეც. ბებიამ დააკვლე-ვინა ალების-ღამისათვის გადადებული მამალი ინდო-ური და მოამზადა თავისე-ბური ჩიხირთმა. ვივახშმეთ, ბებიამ შეკონა ერთ ბაწარ-ში გამოხრული ინდოურის ძვლები და დაგვარიგა ბავ-შვები: აი, შვილებო, ეს ძვლები, გაიტანეთ გარეთ, სამჯერ შეისროლეთ მაღლა და სამჯერვე მანამ ჩამო-ვარდებოდეს უნდა დაჯდეთ და ადგეთ, თანაც მია-მახოთ: „აჭათ ყვავო, ყორანო და ყველა მტაცებე-ლო: ტურავ და მელავ, თქვენი საგმალი და დაეხსე-ნით ჩვენ ბატს, ქათამს, ინდოურს, იხვს და ყველა შინაურ ფრინველს.

ჩვენც ისე მოვიქეცით. სწორეთ იმ დროს, რო-დესაც ჩვენ უგდებდით ტურებს და მელებს ძვლების კონას, ჩვენ მახლობელ ტყიდან ტურებმა ასტეხეს ყმუილი და ჩხავილი. ჩვენ მაშინათვე მივხვდით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურები და მელა-ტურები განაწყენდენ ჩვენიდან მიღებულ საგმალზე, რადგან ის შესდგებოდა მარტო გამოხრულ და გამოსუტულ მვლებიდან და დაგვემუქრენ: დაიცათ, ემაწვილებო, დაიცათ, ჩვენ ვაჩვენებთ თქვენ ბებიას როგორ უნდა ცარიელი მვლების დანარჩუნება და იმაზე ჰატიჟი. იმ დღეს რო გავაძრეთ თქვენს ბებიას მუმუზე დაუვერილი იხვი. თავში და პირში რო იშენდა, იმაზე კარგი არა მუვანდაო. მართლაც და ბებიას ხასიათათ ისა ჰქონდა, რასაც დავკარგამდით ან გაგვიტუდებოდა სულ იმას იმახოდა: იმაზე კარგი არა გუვანდა და არა გვქიანდაო. ტურების ხმაურობაზე ჩვენ შეგვეშინდა და გამოვემურენით ბებიასაკენ და უამბეთ ტურების ამბავი. იმან შეგვილოცა შეშინებულისა და დაგვაწვინა დასაძინებლათ. მეორე დღეს ადრე გაგვეღვიძა, რადგან ამ დღიდან ბებია ქადების ცხობას იწყობდა და დაძინების დროს. კიდეც გვითხრა: დაიძინეთ, შვილო, ბებია გენაცვალოთ, დაიძინეთ, დილაზე ადრე უნდა ავდგეთ და ქადები გამოვაცხოთო.

ბებიას კიდეც მოემზადებინა ქადებისათვის ცომი და ბეღელში კეცებისათვის წასულიყო. დედა-ჩემი ჰშველოდა. ერბოში ხახვსა და ფქვილსა ჰშუშავდა ქადებისათვის. სახლში მშვენიერი სუნი იდგა ქადის მოშუშული გულისა. მე ვერ მოვიცადე ტანზე ჩაცმა, წამოვხტი და პირ-უბანელი, ტიტლიკანა მიუჯექ გვერდით დედას. ჩემი და და ძმაც წამოცვივდენ ქვეშაგებიდან და ჩემმა ჰატარა ძმამ ნიშნათ გათენებისა ბებიას უმღერა კიდეც: უიულიუო, ბაბულავ, გათენდა.

ჩემ დასაც ჩემი ძმის „ჟიულიუოს“ მაზილ-ზე მოაგონდა ბებიას ნასწავლი „ჟიულიუო მამალო“ და დაიწყო იმანაც ტიტინით:

ჟიულიუო, მამალო,
თავსა გადასავალიო.
მუფლი მიგდე მიყარე,
თავსა შემომიარე.
სამი წელიწადია,
ფური არა მეოლია.
ჩიტი მამიწკენტნია,
ჩიტის, ერბო კარაქი
ქალაქ ჩამიტანია,
ქალაქური ბებრები,
ასტიან დასტიან
ოქროს ჯამებს დაჭკრიან.
იქა წყალი მოშხუის,
იქა ქალი მოტირის,
ქალსა ვაჟი ჭეოლია,
აბრამ დაურქმევია და სხვა.

მინამ ჩვენ ლექსებს ვიმღერებდით ბებიაც შემოვიდა, კეცები შემოიტანა. ჩემი და ჭ ძმა დედას კალთას ამოეფარნენ, ეგება ბებიამ ვერ შეგვნიშნოსო, მაგრამ განა ბებიას თვალს რამე გამოეპარებოდა.

— ეჭეი! გიგლავ, ფინთათ კუივით არ გამოიჟურები მა საბნიდან—შემომიმახა ბებიამ. ეე გოგოსა და ბიჭს აქ რა უნდათ. თუ შენ არ უჩვენე გზა ესენი აქ არ მოვიდოდენო.

დროს ჩვენი სახლის უკანიდან მოისმა მახი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი: მეზობლები შექუჩებულიყვენ და მამას ემახოდენ. მამა-ჩემი ვახშმათ ჩვენ საფლავის მღვდელთან იყო და ნაქეიფარს ისევ ეძინა. ბებიამ გაჰხედა.

— აბა, ნანი, დაუწყეს მეზობლებმა ბებიას,—ერთი შენი გაკეთებული დოთი და ერბოთი კიდე ჩაგვაგემ-რიელებინე ყელი.

— რატო, შვილო, რატო, მიუგო ბებიამ. აი ადგება ჩემი შვილი და რაც გინდათ მიირთვით.

ბებიას მეზობლებთან ლაპარაკის დროს მე მო-ვასწარ კიდეც ტანთ ჩაცმა და მინამ ბებია შემოვი-დოდა ცეცხლიც გაუჩაღე კეცებს გასახურებლათ. მა-მა-ჩემი ადგა, გაჰხედა მეზობლებს. ბებიამ დაიწყო ქა-დების მზადება.—გიგლი!—გიგლი! დამიძახა მამა-ჩემმა. მე გავაგონე.—წადი, შვილო, და ნინოს დაუძა-ხე, მამა გეძახისთქო. მეც გავირბინე ნინოსთან. ნი-ნო მოვიდა.

— აბა, ნინო, ერთი შენებურათ დაუარე ამ ქვე-ვრებს. აჰხადე ყველიც, ერბოც და დოც. აი ჩვენი მეზობლები მოსულან შველაზე ყველისა და ერბო-სთვის. ყველას მიეცი რაც და რეერთიც უნდოდეთ. მე აგერ ქღალდზე დავნიშნამ. სამეზობლოც არ და-გავიწყდეს, არც შენი თავი დავიწყო.

სამეზობლოს მამა ემახოდა უფასოთ გადადებას რამდენიმე გირვანქა ყველისა და ერბოსი—ყველა უქონელი მეზობლისთვის და შემდეგ დაარიგებდა შვე-ლაზე ვენახში ან სამკალ-სათიბში. ნინომ მაშინათვე დაიმკვლარმა და შეუდგა ქვევრების ახდას. დავარი-

გეთ ყველაფერი. ქადებმაც მოგვასწრეს სადილისთვის. შემოვედით მარნიდან შინ.

— დედი! აბა რა გაქ სადილათ? შეეკითხა მამა ბებიას.

— აბა, შვილო, დედა გენაცვალოს, ვერც-კი მოვიცალე და. იქით მიდექ, აქეთ მოდექ და დღე გაიპარა.

— არა, დედი, გენაცვალე, ერთი შენებური დომხალალა გააკეთე, ამოტელა ცხიმიანზე, თუ არ ვიმლაშეთ არ იქნება. აი ნინოც აქ არის, დოს ეს ამოგიღებს და სადილათაც გვეწვევა.

ნინომ დოს ამოღება კი იკისრა, მაგრამ სადილათ დარჩენაზე კი დიდი უარი განაცხადა.—დამეხსენით დედავ და თვალო, რა გინდათ ჩემგან, იმ დღესაც მალათ დამალევინეთ და დღესაც თავი მტკივა. მამა ჩემმა ნინოს ბოდიში მოჰხადა:

— რა ვქნა, შენ იმ დღეს არა დაგილევია რა. ალბათ შეგცივდა.

ნინომაც დაიჯერა, ამოიღო დო, ბებიამ გააკეთა დომხალალა: მამამ ბიძა-ჩემსაც დაუძახა სადილზე, შემოგვესწრნენ რამდენიმე მეზობელიც ყველსა და ერბოსთვის მოსულებიც და გაიმართა სიმხიარულე. სადილათ ნინომ ძრიელ იფრთხილა, რომ ღვინო არ მიეკარებინა პირზე, მაგრამ მაინც სულმა წასძლია და შედეგათ იმას მოჰყვა ერთი შემოძახილიც:

— ჰაი! სუფრისა თავსა მჯდომელო და აბაოო. ჰაა! ჰაა! ჰაა! და გვირგვინოსანო და მეფეეოო... და ჰაა! ჰაა! ჰაბაო! და ოო. ჰაიდა, თვალათ და ტა-

ნათ ტურფა ხარ, სიცოცხლის მოიაფეო და ჭა, ჭაბაო და ჭოო ..და სხვა. ყველიერმაც მალე გაირბინა. ყველიერის ხუთშაბათს გვეწვია ბერიკა თავისი გმელი წვერით. ზურგზე გუდა ეკიდა თხის ბალნით სავსე. ორივე ხელში ეჭირა ხმლის მსგავსათ გაკეთებული, გათლილი თეთრი ფიცრები და ერთმანეთს ურახუნებდა ხმის ამოუღებლათ. რახუნის ხმაზე გამოვცვივდით ბავშვები ეზოში, მაგრამ დავინახეთ, თუ არა არაჩვეულებრივ წვერიანი კაცი უკანვე შევცვივდით სახლში.

— ნუ გეშინიათ, შვილო, ნუ, ეს ჩვენი ბერიკაა. ამან ყველიერი მოგვილოცა, როგორც ჩვენმა გიგლამ თავის ამხანაგებით ალილო მოგვილოცა. გვითხრა ბებიამ: ფიცრებს იმისთვის არახუნებს, რომ ბერიკამ ხმა ამოუღებლივ უნდა მოგვილოცოს და რომ შეგვატყობინოს თავისი მოსალოცათ მოსვლა, ჯოხებს არახუნებს ერთმანეთს. ბერიკას არ უნდა ვაწყენინოთ, შვილო, თორემ, თუ მაგან ხმა ამოიღო, ან გაგორდა ეზოში მთელი წლის განმავლობაში წიწილის სახსენებელი გაგვიქრება.

ამ სიტყვებით ბებიამ მიართვა ბერიკას თეფშებით: ყველი, ერბო, დო და კვერცხები. ბერიკამ ნაცვლათ ბებიის მღვნისა მისცა ბებიას ერთი მუჭა თხ.ის ბალანი, მაგიერ თავის წვერისა, მითამ და ჩემი წვერიაო. თხის ბალანი ბებიამ მაშინათვე წაიღო და ჩააგო ცოტ-ცოტა საბუდრებში, რაშ.აც მომავალ გაზაფხულზე უნდა ებუდებინა ქათმები, რომ დედლებს კვერცხები არ დაელაყებინათ და მუყაითათ ებრუნებინათ. დადგა ყველიერის აღების ღამეც. მე დილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანვე მოტანილი მქონდა ასკილის ხეები, რომელზედაც ბლომათ ესხა გარეშემო ეკლები თაგო-თაგოს გასაქცევათ და ზედ თაგვების ვახშმის ასასხმელათ. ბებიამ დაგვიმზადა თაგვების საგძალი: ქადა, ყველი, ერბო და სხვა. გვიამბო წესი თაგო-თაგოს შესრულებისა. უპირველეს ყოვლისა უნდა აგვევსო ტაშტი ნაცრით, შეგვედგა თავზე, ერთ-ერთს შეგვება ფეხზედ თოკი და ჩხირებით ხელში და ტაშტის რახუნით შემოგვევლო გარეშემო სახლისთვის, მარნისთვის, ბეღლისათვის და ყველა სახლის გარემო-ეზოსათვის, რომ თაგვები დაგვეფრთხო ყველგან და შეგვეტყობინებინა მათთვის, რომ ამ დღეს ისინი მიპატიჟებულნი არიან სოფლის ბოლოს საგანგებოთ მათთვის გამართულ ვახშამზე და წამობრძანდენ ოჯახობით. მერე აგვეღო დამზადებული საგძალი და გავქცეულიყავით სოფლის ბოლოსაკენ შემდეგის სიტყვების ძახილით: „თაგო! თაგო! კარში გამო, ანგელოზო, შინ შემოდი“. უკან მოუხედავათ, რომ თაგვები უკანვე არ გამობრუნებულიყვნენ. ჩვენც ისე მოვიქეცით, მაგრამ ვერ მომიხდა კარგი თაგო-თაგოს გაქცევა. როდესაც მივრბოდით მე და ჩემი ძმა და ვიძახოდით „თაგო-თაგოსო, უცბათ მეზობლის ბიჭმა შემომძახა:

— მოვიდა, ბიჭო, გოჭაანთ ძაღლი! მოვიდაო. მე, როგორც „ალილოში“ მოგახსენეთ, გოჭაანთ ძაღლისაგან დაშინებული ვიყავ და მაშინათვე მივიხედე უკან, მაგრამ ძაღლი ვერა დავინახე რა, ვერც გოჭაანთი და ვერც სხვა. თურმე ნუ იტყვით მეზობლის ბიჭს ჩემი დაცინვა უნდოდა და კიდეც შეასრულა. მართალია კარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათაც გაუმასპინძლდით, ბლომათ ავაგეთ ეკლიან ასკილის ჯოხებზე ერბო, უველი, დო და ქადა და უთხარით, რომ ჩვენსა აღარ მოსულიყვნენ, მაგრამ ვაი იმ მასპინძლობას და თაგვებთან ქეიფს. მთელი წლის განმავლობაში ბებიას საყვედურს ვეღარ ამოუველ—მინდორში, რო თაგვს შეჰხვედროდა მე ჩამიზმუკუნებდა ხოლმე: მარა, ჩვენი გიგლა მარტო ჭამაზეა გამარჯვებულიო.

ყველიერის საღამოზე დედაჩემმა იკისრა ვახშმის გაკეთება, რადგან ბებია ცოტა არ იყოს განაწყენებული იყო იმოტელა თაგვების უკან დაბრუნებაზე. ვახშმათ ფლავი გააკეთა დედამ. ვივახშმეთ. მე ჯერ კიდევ მინდოდა წავსულიყავ საქანელაზე და ერთი ორი „ლეკურკაბა კიდე“ გამემრალებინა გარდი გარდმო-სახლის გამრიელებით, მაგრამ ბებიამ დამიშალა: ეხლა, შვილო, უკანასკნელი ქანაობა იქნება საქანელაზე და მერე საქანლის ტოტებს ჩამოსჭრიან ვაჟკაცები და ხანჯალი არავინ მოგახვედროსო. მეც დავეთანხმე ბებიას, მით უფრო უმეტესათ, რომ ვიცოდი ალექსისაგან დილაზე ქეინობა იყო და ადრე უნდა ამდგარვიყავით.

გათენდა დილა. პირველი დღე დიდი მარხვისა. ბებიამ გამანაწილა წუხანდელი დანარჩენი ფლავით და ერბო კვერცხით. ამ დილას მარხვის ჭამა, როგორც ბებია ამბობდა, ცოდვა არ არი იმიტომ, რომ ქოც-მაცობაა და ქოც-მაცობა კიდე იმასა ჰნიშნავდა, რომ დიდ-მარხვის ღამიდან დანარჩენი სორაგი იმ დილას უნდა ჩაჰბარებოდა თავის ალაგს წესისამებრ. შემდეგ ნაწილისა საჩქაროთ გავირბინე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსისაკენ. ალექსი მხათ იყო და მიკვირდა, რომ მეც წავეყვანე თან, რომ ყეინობის დროს არავის ეცემნა ჩემთვის. გავედით სასოფლოზე. დუქნები გაღებული იყო და ხალხი ბუზივით ედებოდა დუქნებს. ზოგი არაყსა ჰსვამდა, ზოგი ღვინოს. ერთ ალაგას, რაღაც ჩოჩქოლი იყო. ჩვენც მივედით. ყეინი! ყეინი! ყვირიან პატარა ბიჭები. მართლა და ყრილობის შუა დავინახე ჩვენი ტყის მეველე ანდრია, რომელსაც სოფლელები მეტ სახელს „რაჯებას“ ეძახდნენ. რაჯებას თავზე წოპ-წოპინა მოუქნელი თხის ტყავიდან შეკერილი ქუდი ეხურა, ტანზე გადაბრუნებული გასახლული ტყავი ეცვა, პირში ეჭირა ცხენის მუა-მვლიდან გაკეთებული და ზებალ-ღოჯის ტარ წამოგებული ყალიონი. ყალიონზე რაღაც ბუჩო ეყარა და აზდიოდა ერთი ბოლი და კორიანტელი. ეს იყო ყეინი. ყეინს გვერდზე თარჯიმანი უჯდა და ყოველ ყეინის განკარგულებას გადასცემდა ხალხს. ყეინმა დაინახა ალექსი. გამოიშვირა ხელი იმისკენ და დაიწყო: ნაინც!—ცვაინც!—გნაინც!.—თარჯიმანმა გადმოუთარგმნა ხალხს: ყეინი, დურბინდსა თხოულობს, აქ ერთი ვინმე მოსულა და მე კარგათ ვერ გამირჩევია ვინ არიო. დურბინდი მოართვეს. ეს იყო ცხენის შუა მვალი თავ-ბოლო მოტეხილი და გამოსუფთავებული. ყეინმა ახალი დურბინდით გამოჰხედა ალექსის და დაიწყო ფეხების ბრაგუნი.. თარჯიმანმა მიიხმო ალექსი. ალექსი წადგა წინ. ყეინი ნემენცურათა ჰბრძანებს, რომ შენ დღეს ადრე უნდა გამოცხადებულიყავ მათ უდიდებულესობის წინაშე და ყველა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ უკან მოხველ, ამისათვის ჯავრობს და გაჯარიმებს, რომ ემ საათში მის მხლებლებს და ამალას მოართვა ერთი ჩარექა არაყი და ერთიც ხელადა ღვინო. ალექსიმ დაიდო კისერზე მარცხენა ხელი და მოახსენა: გმადლობთ, ჩვენო უეინო, მოწყალებისთვის და ჯარიმას ეხლავე მოგართმევთო. მოართვეს უეინს არაყიც და ღვინოც. მხლებლებმა ჩამოირიგეს და გადაჰკრეს. ბევრი ალექსისთანა სხვებიც გამოჩნდენ და უეინი თავის მხლებლებითურთ კარგა შეჟუნჟრუკდენ. შემდეგ მოუმზადეს უეინს მარხილი, რადგან დიდი თოვლი იყო. გაუკეთეს მარხილს უღლები და მიართვეს უეინს საომრათ გასამგზავრებლათ. ომი შესდგებოდა შემდეგში; ორი მეზობელი სოფელი გამოიყვანდენ სათითაო უეინს და სოფლის მიჯნაზე აჭიდავებდენ. რომელიც დაამარცხებდა, ორსავე სოფელს ხარჯს ის დაადებდა, შეგროვილი ფულით ორივე სოფლის წარმომადგენელნი იქეიფებდენ და დანარჩენს გამარჯვებულს უეინს მიართმევდენ.

მარხილი დაიძრა რამდენიმე წყვილ ჯეილი ბიჭებისაგან შებმული და გასწია უეინმა საჭიდაო ალაგისკენ. დაიძრა ამოტელა ქალი და კაცი და გაჰყვა უეინს თამაშის მოსახილებლათ. უცბათ შედგა მარხილი. შეჯგუფდა ამოტელა ხალხიც. უეინი იყურება დურბინდში და გააქვ—ფრატა-ფრუტი. აბრახუნებს ყალიონის ტარს. ნუ იტყვით, თურმე უეინს დაუნახია თავისი ცოლი თეონა კოკებ აკიდებული ვირით წყალზე მიმავალი, ხელში წინდა უჭირავს და ჰქსოვს. თარჯიმანმა გადმოუთარგმნა ხალხს. როგორ თუ

ეროვნული

უეინის ცოლი ვირს მისდევს კოკებ აკიდებული და თანაც დღევანდელ დღეს წინდასაც ჰქსოვსო. დღევანდელ დღეს ირემი ხეს არ შეექექებაო. რამდენიმე ბიჭები მაშინათვე გაქანდენ. ერთი წუალზე წავიდა ვირით უეინისთვის წყლის მოსატანათ და დანარჩენთ თეონა წინდით ხელში მოჰგვარეს უეინს. თუმცა თეონა დიდ უარზე იდგა უეინს მოსჯდომოდა გვერდზე, მაგრამ ბოლოს დასთანხმდა უეინის სურვილს. უეინი თავის სახლობით გაემართა ისევ დანიშნულ ალაგისაკენ. მივედით საჭიდაოზე. მეზობელი სოფლელები კიდეც მოსულიყვენ თავის უეინით და გველოდენ. შედგა ჩვენი უეინი. გაჰხედა მეორე მხრის უეინს და დაიწყო ნემენცურათ: რაინც, ორაინც, სამაინც და სხვა. თარჯიმანმა გადმოგვითარგმნა. უეინი ჯავრობს მეზობელ უეინზე. დღეს იმისთანა დღე არის, რომ უეჭველათ უეინებს სადარბაზოთ ცოლებითან უნდა ახლდენ და იმას კი იმ უზდელს ცოლითან არ ახლავსო. შემიტყვეთ დროზე რა ამბავია და რათ მომხდარა ესე, ჩემი მეუღლე მრიელ დარდიანათ გახდა აჟაზედაო. მაშინათვე გაქანდენ ბიჭები და მოუტანეს მეზობლის უეინიდან შემონათვალი: დიდო უეინო, მეზობლის უეინმა მოგახსენათ, რომ წუხელის ცოლი ლოგინათ დამიწვა და უკაცრაოთ რომ დღეს აქ არ გახლავთ. მოგიკითხამთ თქვენცა და თქვენ სახლობასაც. კიდევ რამდენიმე სიტყვებით გაელაპარაკგამოელაპარაკენ უეინები ერთმანეთს და შემდეგ გამოვიდენ საჭიდაოზე. გამოსვლისათანავე მეზობლების უეინმა დაავლო ერთ მუჭა მიწას ხელი და გადააბნივ-

გადმოაბნივა აქეთ იქით. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩვენ ყეინს ის ისე დააბნევდა, როგორც ის მიწა. სამაგიეროთ ჩვენმა ყეინმა მოგლიჯა ერთი მუჭა ბალახი და მირკვებიანათ გაგლიჯ-გამოგლიჯა კბილებით. ამით ამან უპასუხა: დაგგლეჯამ შე საცოდავოვო, და ეცნენ კიდეც ერთმანეთს. აღარ გასულა დიდი ხანი, რომ მეზობლის ყეინი ჩვენ ყეინს ორივე მკლავებით შებოჭილი ბეჭზე ჰქონდა წამოკიდებული. ჩვენს ყეინს ჩვენები მიეშველენ, მეზობლისას მეზობლ.ები და გააშველეს. ჩვენებმა ჩვენი ყეინი გამოიტანეს საჭიდაოდან ხელის ხელით და გამარჯვებული ჩააბმანეს ისევ მარხილში და მოუსვეს თეონა გვერდით. დავიწყეთ ახლა კარი-კარ ყეინის ტარება და ხარჯის კრეფა. შემდეგის და გვარათ ყეინი აწერდა მოსახლეებს ხარჯს და მხლებლები ჰკრეფდენ ფულს, ფქვილს, ხორბალს და სხვას. ბოლოს შეკრეფული სულადი და ფქვილი ყეინს მიართვეს, ხოლო ფულიდან ზოგი საქეიფოთ გადასდვეს და ზოგიც ყეინს გადასცეს. ამ გვარათ გავატარეთ ყეინობაც და შემდეგ შეუდექით მარხვას სინანულისას და აღდგომას სიხარულისას, როგორც იტყოდა ხოლმე ბებია.

გ. დ. ჭრელაშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა




# ნიკო ლომოური



კიდევ და კიდევ უნდა გაუწყოთ, ჩემო მკვირფასო მკითხველებო, სამწუხარო ამბავი, ფრიად სამწუხარო და მწველი, ქართველი ერისთვის კიდევ ერთი უბადლო ადამიანის სიკვდილი.

ნუ დამემდურებით, ჩემო მკითხველებო, რომ ბოლოს დროს მრიელ მოუხშირე „ჯეჯილის" ფურცლებზედ ამ მწუხარების ამბების მბობას. მე თითონ ცეცხლი მეკიდება გულში, სული მ..მრწის, თვალთაგან მდუღარება მცვივა, მაგრამ აუცილებელს როგორ აიცილებ! „დრონი მეფობენო" მველთაგან არის ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვამი და კაცთა ბუნებაც ამ დროთა ბრუნვას ქედს უხრიან და სიკვდილის შვილნი მიწას ბარდებიან...

ამ ნახევარ საუკუნის წინათ გავერანებულ და თითქმის უპატრონოთ დარჩენილ საქართველოს, როდესაც ჩვენი ენა, ჩვენი ზნე-ჩვეულება და ყოველიფერი ის, რასაც კი ქართული ფერი ედვა და ქართველი ერის სამლოცველოს შეადგენდა მტრის ხელით ითელებოდა, ბუნებამ მოუვლინა სანუგეშოთ რამდენიმე სახელოვანი მამული შვილი, რომელთა მოღვაწეობით ჩვენი განადგურებული ეროვნება მკვდრეთით ფეხზედ წამოდგა, თვალები მოიფშვნიტა და გამეფებული სიცივე და სიბნელე სამშობლოსი გაათბეს და გაანათეს; ამისთვის იმათ დასჭირდათ დიდი ღვაწლი და შრომა, დაიღალნენ, მოხუცდნენ და ბუნების კანონისაებრ, განისვენეს საუკუნოთ და მომავალ შთამოებას დაუტოვეს ანდერძათ გაუმჯობესობით ეწარმოებინათ ქვეყნის აღორძინების საქმე.

ამ მოღვაწეთა საქმენი და წარჩინებანი უკვე მოგითხროთ თქვენმა ბებია კატომ და უეჭველათ გეხსომებათ და თაყვანს სცემთ იმათ სახელს. ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ხახანაშვილი და სხვა.

მათ მიჰყვა მათი თანამოაზრე და ნიჭით აღსავსე ნიკო ლომოური.

ლომოური დაასაფლავეს 26 აპრილს ქ. გორში, და უნდა გენახათ რა დიდებით და თაყვანის ცემით, რა გვარ ქვითინებდნენ და იმდუღრებოდნენ იმის მრავალთაგან მრავალი მოწაფენი ყოფილნი და აწმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქონი. რა მზრუნველობით და სიყვარულით ამკობდნენ ყვავილებით და გვირგვინებით იმის მცხედარს, რა გულ-საკლავი სიტყვებით იგონებდნენ ძვირფას აღმზრდელს, კაცთ მოყვარე და ოქრო-პირს მასწავლებელს!

დიად კაცთ-მოყვარეს და ოქრო-პირს, იშვიათს პედაგოგს და იშვიათ სათნოებით აღსავსე ნიკოს, ღმერთმა ქნას ყოველ თქვენგანს მოვლინებოდეს თავის სწავლის დროს ნიკოს მაგვარი ღვთაებრივ კეთილი, სათნო, ტკბილი, გულ-მხურვალე, ერთგული აღმზრდელი და ხელმძღვანელი!

მთელი ორმოცი წელიწადი ნიკო მასწავლებლობდა მასწავლებელთა აღმზრდელ ინსტიტუტში და მან გაზარდა იქ ის კეთილნი მოძღვარნი, რომელთაც სახალხო მასწავლებელთ უწოდებენ და რომელთა კეთილ სვინდისიერობაზედ არის დამოკიდებული ყოველი ერის მომავალი და წარჩინება და ჩვენი ერისა ხომ უფრო და უფრო.

შესანიშნავი იყო ნიკოს გულ-კეთილობა, სათნოება და კაცთ-მოყვარეობა. იმის ყოველთვის გამხმარს და ფერმკრთალს სახეს რაღაც სამოთხისებური ღიმილი უკრთოდა ყოველთვის. იმის სიტყვას ტკბილს და სათნოიანს უმაღლესი გარმონიით აღსავსე ხმას კაცის გულში ჩაჰქონდა ნუგეში და მაღლაფრენის სასოება და ვინც კი ერთხელ ნახავდა და მოუსმენდა ნიკოს, ის თავის დღეში აღარ დაივიწყებდა ამ წმინდა, სიწრფელით სავსე ადამიანს.

გარდა იმისი, რომ ნიკო ლომოური სამაგალი-

თო საზოგადოების წევრი იყო თავისის მაღალის ზნეობის და გამრჯელობით, ის შესანიშნავი მწერალიც იყო და მრავალი თვალ-მარგალიტიც უძღვნა ჩვენ ღარიბ ლიტერატურას. მართალია იმას არ ეცალა დიდრონ დიდრონი ტომების წერისთვის, მაგრამ რაც დასწერა სამაგალითოა ენის სიმდიდრით და ქართულის ხმა-ტკბილოვანი კილოთი.

„პატარა ქაჯანა“ ეს განძი ჩვენის მწერლობისა საუკუნოთ იქნება საყვარელი საკითხი არა მარტო ბავშვებისთვის, ვისთვისაც ეს მოთხრობა საგანგებოთ იყო დაწერილი, არამედ ყველასთვის, ვისაც კი ქართული კითხვა შეუძლიან და შესძლებს ოდესმე.

მაშ, განუსვენოს უფალმა ამ ძვირფასს კაცს სხვა ქართველთა სადიდებელ პირთა შორის და დაუვიწყარ ჰყოს იმის სახელი უკუნისამდე.

ეკ. გაბაშვილისა.





## გამოცანები:

მინდორს გავა გაიშლება, ხმა მიუგავს კაკაბსა,
შენ ამას ვერ გამოიცნობ, ნუ დაიწყებ ყაყანსა.

—

გამოცანას მოგახსენებ, გამოიცან, სიბრძნე გაქვსო:
ერთ სოფელში ორნი ძმანი, ორთავ ერთი ფერი აქვთო
ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო ტახტი აქვსო,
ერთი მუდამ სიყრმეზე სდგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო.

—

რას აკეთებენ წყლისაგან და წყალში არ იძირება.

## ზ მ ა.

ახალი ჩალა დამიგეს, გვერდი სწუხს მაზედ წოლასა;
ყმაწვილები აიშალნენ, არ ეწყობიან თრობასა;
დაბალი შინა ყმა მახლდა, აღარ მიპირებს ხლებასა
და საბა ნიკოლოზს სწყალობდეს, ირაკლი თქვენს მეფობასა.

## რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილი თელავის სასულიერო სკოლის მოწაფე
დ. იორდანაშვილისაგან)



---

# ა ხ ს ნ ა

**გამოცანებისა:** ბუდე, თვალები, აღდგომის კვერცხები.
**რებუსი:** კალათში კვერცხით, ხელში თარითა
ვისურვი იყო, ბავშვო, ცქვიტათა,
რომ გავიძახო: ქრისტე აღსდგათქო
შენ მომაძახე?

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩემს კერას

(შორიდან)



მოგესალმები ძვირ-ფასსა,
საყვარელ ჩემსა კერასა.
შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
შენ—მირჩევნიხარ ყველასა.

* * *

შენს ქვეშ სიკვდილსა ვნატრულობ,
რომ გავხდე იმა ბედისა.
რომ დაედინოს ჩემ ცხედარს,
ცრემლნი ცხარენი დედისა.

* * *

რომ აკვნის ჩემის ნარწევზე,
სამარე გამეთხაროსა;
და გულზედ ჩემის სამშობლოს,
მიწანი მომეყაროსა.

**გ. დ. ჭრელაშვილი.**



# ჰელლე ცოცხალია და კარგათ არის.



ციცაბო კლდის ბილიკზე, რომელიც სოფელ სტენზეტისკენ მიდიოდა, სამი მიმავალი ვაჟკაცი გამოჩნდა. მათ მხრებზე აბგა ეკიდათ; ისეთი დაფლეთილი და გამტვრიანებული მუნდირები ეცვათ, რომ ვერც კი გაარჩევდა კაცი რისაგან იყო შეკერილი.

ორი იმათგანი, რომელიც წინ მიდიოდნენ უწვერ-ულვაშო ყმაწვილი ბიჭები იყვნენ, ერთი მათგანი ქერა. მესამე კი, რომელიც უკან მოსდევდა ამათ, უფრო ხნიერი იყო. იმას თმა შეკრეჭილი ჰქონდა და დიდი ულვაშები. გვერდზე დიდი ხმალი ეკიდა, ქამარში დამბაჩა ერჭო და მარცხენა ხელი შეხვეული ჰქონდა.

როდესაც შენობებს მიუახლოვდენ, უკან მომავალი კაცი დაწინაურდა, ალაყაფის კარები გააღო, ქარქაშიდან ხმალი ამოაძრო, მხედრულათ გამოიჭიმა და ისე მთელი ეზო გაიარა. შემდეგ შესდგა და დაიყვირა: „შედექით“. ამ ყვირილმა შენობების კედლები შეანძრია, მერე კაცმა დაღვრემილი სახით უკან მიიხედა და ორი შეშინებული თვალები დაინახა.

ნასადილევი დრო იყო, გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. ცხელ, მშრალ ჰაერში ახალი მოთიბული თივის სუნი ტრიალებდა.

უეჭველია ეხლა ამ სტენზეტის შენობებს და კარმიდამოს ვერც კი იცნობს ვინმე და ვერც იმ ღელეს, რადგან ეს ამბავი ამ ასი წლის წინად მოხდა. მხოლოდ ის განიერი ანკარა მდინარე ისევ ისე დარჩა, მაგრამ განიერი სავალი გზა მაშინ არ იყო და მთებიდან ყველა სახლთან ვიწრო უსწორ-მასწორი ბილიკი

ჩამოდიოდა. უმთავრესი სასახლე, სტენზეტის ძველი სახლი, როგორც მაშინ, ეხლაც ისევ ისე კლდესავით მაგრა სდგას, მხოლოდ ახალი დერეფანი მოუმატეს და გვერდით თეთრათ შეღებილი შენობა მოუშენეს; ბოსელი, საჯინიბე და ბეღელი, რომელიც მაშინ ცალ-ცალკე იდგა, ეხლა კი ერთ ფარდულის ქვეშ არის მოთავსებული. სადაც ამ კარმიდამო და სახნავებ და მინდორ შუა ისარივით სწორე ალვის ხის ხეივანი მიდის —უწინ მთელ ფერდობზე დაბურული არყის ტყე იყო.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენი სამი მგზავრი გაჩერდნენ, ძაღლმა დაიყეფა და შეშის საწყობის ღია კარებიდან პატარა ბიჭის თავი გამოჩნდა და ისევ უცბათ მიიმალა.

ეს იყო პერი—ამ სახლის პატრონის ვაჟიშვილი.

პერი უმიზეზოთ კი არ მიიმალა. საქმე იმაშია, რომ ის ამ კაცებს მოელოდა, მაგრამ ასე მალე კი არა, რამდენიმე დღის შემდეგ და სრულებით სხვანაირათ ჰქონდა ისინი წარმოდგენილი.

წარსულ კვირას ღენერლისაგან, რომელმაც შარშან მთელი თავისი ამალით სოფელ სტენზეტში ღამე გაათია, შიკრიკი მოვიდა. ამ შიკრიკმა უბრძანა სახლის პატრონს, მზად ყოფილიყო თავის სახლში შვედელი სამხედრო ტყვეები შეეხიზნა. სხვებს სოფლელებს კი ნაბრძანები ჰქონდათ ჯარისთვის სურსათი მიეტანათ.

შიკრიკმა ჯარის კაცების წერილებიც მოიტანა. იმათში პერის ბიძის წერილიც იყო... ის იწერებოდა, რომ ყველანი კარგათ არიან. შვედები ჯერ თვალით არ ენახათ, მაგივრათ შიმშილს ძალიან შეეწუხებინა.

როცა პერის მამამ წერილი წაიკითხა, კისერი მოიფხანა და წინ და უკან სიარული დაიწყო. ბოლოს უცბათ წამოიძახა: „ისინი როგორ იომებენ, თუ შიმშილი შეაწუხებს". შემდეგ ისა და პერის დედა საკუჭნაოში შევიდნენ და რაც კი რამ საუკეთესო და გემრიელი საჭმელი ჰქონდათ, დიდ კალათაში ჩაალაგეს, თოკით შეჰკრეს და ცხენს გადაჰკიდეს... მამა თითონ აღმოსავლეთ სამზღვარზე წასვლას აპირებდა. უნდა მოძმეებს გემრიელი სადილით გამასპინძლებოდა. გვითხრა: ცხენს ღენერალს დაუტოვებო, რადგან იმას ეჩივლა შარშან შემოდგომაზე, რომ ცხენების ნაკლი ძალიან აწუხებთ მათ.

შემდეგ დღეებში ბევრს ლაპარაკობდნენ ტყვე შვედებზე,

რომელიც სტენზეტში უნდა მოეყვანათ. იძახოდნენ, რომ ისინი საშიში და საძაგლები არიან და სწუხდნენ, რომ სახლის პატრონი აქ არ არის. გასათხოვარი ქალები და დედაკაცები ღამე თივაზე ძილს ველარ გაბედავდნენ. პერი თუმცა ბევრს ცდილობდა დედასაგან შეეტყო თუ ესენი რას აპირებენ, ტყვეებს როგორ უნდა დახვედროდენ, მაგრამ ვერას გახდა. ყმაწვილის ფიქრით ისა და მათი მოჯამაგირე შმიტ კნუტი ტყვეებს შეშის საწყობში ჩაჰკეტავდნენ და კნუტის თოფით დახვრიტავდნენ, როგორც უწინ ძველ დროს შოტლანდელებს უშვრებოდნენ, ანუ, იქნება უკეთესი ყოფილიყო გარეთ კედელზე მიეკრათ და შიმშილით დაეხოცათ. კნუტის ფიქრით, იმათ ხელები უკან შეკრული უნდა ჰქონოდათ და ფეხებში მძიმე რკინის ბორკილები. კნუტი დაჰპირდა, რომ შეშის საწყობს მაგარ კარებს ჩამოაბამს და მაგარ კლიტეს გაუკეთებს, რომ არსად გაიპარნონ. ყოველ შემთხვევისათვის კნუტმა თავისი და პერის ცული კარგა გალესა და კარებთან აპირებდა მელიას ხაფანგი დაედგა, რომ, როცა ისა და პერი უდარაჯებდნენ — ტყვეები არ გაქცეულიყვნენ.

 აი ისინიც მოვიდნენ, მერმე რა — უბორკილოთ. პერი შეშის საწყობში იდგა და სახლში შესვლას ვერ ბედავდა. ბედზე საწყობის მეორე კედლის ძირში ნახვრეტი იყო, საიდანაც პერი თავისუფლათ გამოძვრა. ფოფხვა ფოფხვით ბეღელთან მიცოცდა, თან ცულიც წამოიღო, ბეღელში შევარდა და კარები ჩაიკეტა. ჭუჭრუტანიდან უყურებდა.

სამივე ერთ და იმავე ადგილას გაჩერდნენ. სახლში არა ჩვეულებრივი მოძრაობა ატყდა. მოსამსახურეები სარკმელთან მირბოდნენ და შეშინებული ისევ უკან გარბოდნენ და იმალებოდნენ. კნუტ შმიტი და მეორე მუშა სამზარეულოდან იცქირებოდნენ. უცბათ ვიღამაც ცული მოიტაცა, კარები მაგრათ მიკეტა და პერის ჭუჭრუტანის პირ და პირ გაჩერდა.

კარგა ხანმა გაიარა. პერი სულ განაბული იდგა და რაღაც საშინელ შემთხვევას ელოდა.

ბოლოს დაინახა, რომ დედა მარტოთ მარტო კიბიდან ჩამოდიოდა.

არა, თვალმა ხომ არ უმტყუნა... თითქოს დედა სადღესასწაულოთ იყო მორთული, ვითომც, ვიღაც დიდებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუმრებს ეპატიჟება სახლში! აი ნელ-ნელა პირ და პირ იმათთან მივიდა და შესდგა... ამან გარკვევით დედის ნათქვამი გაიგონა:

— თითონ სახლის პატრონი სხვაგან წავიდა; მე იმის მეუღლე გახლავართ, სახლის დიასახლისი.

ის, რომელმაც უბრძანა „შესდექითო“ გამოექანა, ხმალი ქარქაშიდან ამოიძრო, სამხედრო სალამი მისცა და უბიდან რაღაც ქაღალდი ამოიღო.

— ღენერლის ბრძანებაა ორ სამხედრო ტყვეს სადგომი დაუთმოთ და ხელი მოაწეროთ, რომ ისინი ჩაიბარეთ.

დედამ ქაღალდი გამოართვა.

— დიაღ ეს იმისი ბეჭედია. მე ჩემ სახელს მოვაწერ.

შემდეგ ხმლიანი კაცი ორ დანარჩენს მიუბრუნდა და უთხრა:

— ამას იქით თქვენ უნდა ყველაფერში დაემორჩილოთ ამ ქალს, ან ვისაც ის ჩაგაბარებსთ.

და ხმალი ისევ ქარქაშში ჩასდო.

მერე დედა იმ ორ ტყვესთან ახლოს მივიდა და ხელი გაუშვირა ჩამოსართმევათ, თუ პერის სმენამ არ უმტყუნა, უთხრა: —კეთილიიყოს თქვენი სტენზეტში მობრძანება! და დაუმატა: —ეხლა სახლში შევიდეთ, ვისაუზმოთ, უთუოდ ძალიან დაიღალეთ და მოგშივდათ.

ორივე ყმაწვილი კაცი გაშტერებული და გაკვირვებული იდგნენ და თითქოს არც არაფერი ესმოდათ და ვერაფერს ვერ ხედავდნენ; მარტო პერმა გარკვევით დაინახა, რომ ერთ იმათგანს, ქერას ლოყებზე ცრემლები გადმოსდიოდა. ხმლიანი კაცი დიდ-ხანს უხსნიდა რაღასაც და ელაპარაკებოდა, მაგრამ ვერაფრით დაარწმუნა და ვერ დაამშვიდა.

* *
*

როცა ისინი ოთახში შევიდნენ, პერი ფეხ აკრეფით ბეღელიდან გამოძვრა, კნუტ შმიტი და მეორე მუშაც მოსამსახურების ოთახიდან გამოვიდნენ; ყველას ცული ეჭირათ და ჩურჩულით ლაპარაკობდნენ.

კნუტს ვერა გაეგო რა:

ამისთანა ხალხის ოთახში მიპატიჟება, თითქოს ვინმე დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებული სტუმრები ყოფილიყვნენ. მართალია ერთი მათგანი ამათი იყო და ამასთანავე უნტერ ოფიცერი, ეს სულ სხვა არის, მაგრამ ისინი... შვედები... უთუოდ დიასახლისმა დღეს თითონაც არ იცის რას სჩადის! ეს ხომ საშიშია, ესენი ყოველთვის მზად უნდა იყვნენ და კარებთან ახლოს უდარაჯონ, რადგან უეჭველია მალე მოუნდებათ იმათი შებოჭვა.

როდესაც ყველას შეეშინდათ და სუფრის გაშლას ვერ ბედავდნენ, დიასახლისმა ერთ იმათგანს უთხრა: „აი თქვე, სულელებო, ისინი ხომ ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ, და დიასახლისი უხვად უმასპინძლდებოდა! რა არ გინდა, რომ სუფრაზე არ მიართვა! რაც კი რამ სახლში გემრიელი და კარგი საჭმელი იყო! თითონ უნტერ აფიცერიც კი ისე სჭამდა, რომ თითქოს თავიანთ სიცოცხლეში პირში ნაწილი არ ჩაუდვიათო. სულ უნცროსმა იმათგანმა იმდენი ჭამა, სანამ სუფრაზე არ ჩაეძინა! ბოლოს ერთი მოსამსახურე გამოვიდა და სამზარეულოში უამბო, რომ დიასახლისმა უბრძანა, ზემო სართულში იმათ ლოგინი მოუმზადონ და თავის ქმარის სუფთა პერანგები მისცა ჩასაცმელათ და ისე გაისტუმრა დასაძინებლათ. უთხრა, იმდენი ეძინათ რამდენსაც კი მოისურვებდენ. ამაზე კნუტ შმიტი ისე გაბრაზდა, რომ ცული გადისროლა და თანაც შურდულივით გარეთ გავარდა.

* *
*

ეს დღე პერისთვის ძალიან გაგრძელდა. შვედები მაინც ვერ ნახა.

საღამოზე, კარგა გვიან, ბინდისას მარტო უნტერ-ოფიცერი ადგა, დიდ-ხან დიასახლისს რაღასაც ელაპარაკებოდა და წავიდა; დაჰპირდა უკან დაბრუნებისას კიდევ შემოვივლიო. პერი უნდა დაწოლილიყო შვედების უნახავათ. ყმაწვილს ვერ წარმოედგინა თუ ამდენი ხანი შეიძლებოდა ძილი! ალბათ განგებ თავს იკატუნებენ, რომ შემდეგ გაიქცნენ! მაგრამ დედამ გამოუცხადა, რომ ეგ შეუძლებელია, მაგისი არც ეშინიან და ნება არ მისცა, რომ კნუტი დაეძახნა და ერთად ედარაჯნათ. იმან მაინც თავისი გალესილი ცული საწოლში გვერდით მოიდო. მეორე დილას, როცა გამოიღვიძა, გაიგონა, რომ ვიღაც იმის უცნობ ენაზე მღეროდა. ფანჯრიდან გადმოიხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რა ამბავია? აქ ერთი შვედთაგანი, რომელიც უფრო მაღალი იყო და უფრო მუქი თმა ჰქონდა, იმის მამას პერანგში გამოწყობილი იდგა და მოსამსახურე ქალს ჰიდან წყალს უზიდავდა. ის მღეროდა და უსტვენდა, გოგო კი იცინოდა.

ბავშვმა საჩქაროთ ტანისამოსი ჩაიცვა, ხელში ცული აიღო და გარედ გამოვიდა. შვედი მიუახლოვდა, ზრდილობიანათ თავი დაუკრა და ჰკითხა: მასპინძლის შვილი იქნებიო. ყმაწვილი კაცი იმდენს ლაპარაკობდა, რომ ბავშვმა არ იცოდა რა ეპასუხნა. ბოლოს შვედმა ჰკითხა, თუ შეიძლება სადმე ცული უშოვნოს შეშის დასაჩეხათ, რომ დიასახლისს და იმის შვილს გემრიელი საჭმლისათვის სამაგიერო გადაუხადოს.

პერი ცოტათი ჩაფიქრდა, ცული რომ მიეცა ხომ საშიშარი იყო, მაგრამ თავისი შიში არ უნდოდა გამოეჩინა.

—- აი ეს შეგიძლია იხმაროთ, ბოლოს უთხრა მან, და თავისი ცული გადასცა.

შვედმა მადლობა გადაუხადა, გამობრუნდა და შეშის საწყობში შევიდა. პერი ფეხ-აკრეფით უკან გამოედევნა და საწყობში შეიხედა. რა საოცარი ამბავია! იმან შეშის ჭრა სხვებზე არა ნაკლებ იცოდა. ბავშვი შვედს უფრო და უფრო უახლოვდებოდა, ის იცინოდა, რაღაცას უამბობდა და ხუმრობდა. ცოტა ხნის შემდეგ საუზმის დროც მოახლოვდა და პერი დარწმუნდა, რომ შვეციაშიც იმისთანა ხალხი ცხოვრობენ, როგორც ნორვეგიაში.

ის აქეთ იქით იყურებოდა და უნდოდა ის მეორე შვედიც ენახა.

მეორე შვედი ეზოს ბოლოში ერთ გორაკზე იჯდა. ის თავჩაღუნული მდინარეს დასცქეროდა. მერეც ასე მთელ დღეებს ატარებდა. ის ჩუმად შემოდიოდა ოთახში, როდესაც სადილის ან საუზმის საჭმელათ უძახდნენ და ისევ ჩუმათ გამოდიოდა და თავის ადგილას ჯდებოდა. პირველში ცდილობდნენ როგორმე გაერთოთ, მაგრამ ის ისე გაშტერებული შესცქეროდა ყველას, თითქოს უკვირდა თუ რას ერჩიან და რა უნდათ იმისაგან. ბოლოს სრულებით თავი მიანებეს და აღარ ელაპარაკებოდნენ.

შავ თმიანს, როგორც ყველამ შეიტყო, კალლე ერქვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მალე ყველას დაუმეგობრდა და იმასთან ყველანი მხიარულათ დროს ატარებდნენ.

ისიც დიდ-ხანს არ ულოლიავებდა თავის ამხანაგს,—სულ ერთია, პელლე არას დროს მხიარულათ არ არი, გამოუცხადა მან ყველას. მაგრამ რამდენიც მეტი დრო გადიოდა პერი კი პელლეზე უფრო მეტს ფიქრობდა. ის განგებ ხოლმე იმის ახლოს რასმეს აკეთებდა და თამაშობდა. ერთხელ სრულებით ახლო მივიდა, მასთან და ნახა რომ პელლე ზის და ტირის.

აქ მთელი თავისი სიმამაცე მოიკრიფა და ჰკითხა:

— აბა, რა გატირებს?

პელლემ გაკვირვებული შეხედა.

— იმიტომ, რომ წერა არ ვიცი და ჩემებს არ შემიძლია ჩემი ამბავი შევატყობინო.

ამ დღეს პერი იმასთან დიდხანს იჯდა და ბევრი კარგი ამბავი შეიტყო.

პელლე თავის სამშობლოზე ნაღვლობდა და ისე ძალიან, რომ თვალში არაფერი არ მოსდიოდა. ეს ნაღველი ამათსა უფრო იგრძნო, როდესაც ეზოში შემოვიდა და მყუდრო ცხოვრება ნახა. მინამ ომის ველზე იყო და ბევრი გაჭირვებაც გამოიარა, ეგონა, რომ ვერც კი გაუძლებს და აგერ აგერ დაეცემა და მოკვდება, მაშინ სულ სხვა იყო. იქ ვინმე ამხანაგს, რომელიც კი სახლში დაბრუნდებოდა, გაატანდა თავის ხელით ხეზე ამოჭრილ ჯვარს დედასთან გადასაცემათ. დედის ჯვარი ნიშნავდა რომ: „პელლე ცოცხალია და კარგად არის“. ეხლა კი იმისი დედა, დები და ძმები ქოხში სხედან მშიერ მწყურვალე და ფიქრობენ, რომ პელლე მოკვდა და აღარა დროს სამშობლოში აღარ დაბრუნდებაო.

ამ ამბავმა ბავშვი გააკვირვა და შეაწუხა.

უწინ თავის დღეში ვერ წარმოედგინა, თუ შვედს დედმამა, დები, ძმები და თავისი სახლი აქვს, ისე როგორც იმას.

-- მე წერა ვიცი, უთხრა მან.

პერი სახლში დაბრუნდა, დედას ყველაფერი უამბო და გამოუცხადა, რომ უნდა წერილი დაუწეროს. დედამ უთხრა, რომ ეს ამაოა, რადგან ეხლა შვეციაში წერილების გაგზავნა შეუძლებელია.

დიასახლისმა ქალმა პელლე ოთახში შეიყვანა და დიდხანს ელაპარაკა. პელლე როცა გამოვიდა თვალები უბრწყინამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც მინჯე და დამიწერე, უთხრა მან პერის, იქნება როგორმე წერილის გაგზავნა მოვახერხოთ.

პერიმ ძლივს დაჯღაბნა შემდეგი სიტყვები:

„პელლე ცოცხალია და კარგათ არის“.

ყმაწვილმა გარედან, როგორც კი შეიძლო, გარკვევით დაწერა წერილს სად უნდა გაეგზავნათ, და დედამ ხელი მოაწერა. როდესაც ტყვეების მხლებელი უნტერ აფიცერი დაბრუნდა—დედამ ეს წერილი გადასცა, შეეხვეწა ღენერლისთვის ეჩვენებინა და ეთხოვნა, რომ რომელიმე შვედელ ოფიცრისათვის საკუთარ ხელში გადაეცა.

ამ დღიდან პელლე გამხიარულდა, ხანდისხან მღეროდა და ოჯახში საქმეს აკეთებდა.

* * *

სტენზეტში ზაფხულმა ჩვეულებრივ გაიარა. პერის მამა დაბრუნდა, კნუტ შმიტი აქა იქ უსაქმოთ დაწანწალებდა და თავისი ნაჭერი მიწა მოუვლელი დასტოვა.

შემოდგომის მიწურულში ზავი ჩამოვარდა და სამხედრო ტყვეები უნდა შეეცვალათ. მალე იმ უნტერ-აფიცერს მოელოდნენ, რომელსაც ეს ორი შვედი ისევ უკან უნდა წაეყვანა.

კალლე და პელლე სრულებით გამოიცვალნენ. პელლე გამხიარულდა, მთელი დღეები მღეროდა, იცინოდა და ხუმრობდა, კალლე კი მოწყენილი და დაღვრემილი დადიოდა და მისი მხიარული სიმღერა აღარ ისმოდა.

ერთ დღეს მივიდა სახლის პატრონთან და გამოუცხადა: მინდა აქ დავრჩე და კნუტ შმიტის მიწა იჯარით ავიღოვო.

— დიდის სიამოვნებით, მაგრამ სამწუხაროთ, როგორც სამხედრო ტყვე, უთუოდ უნდა უკან სამშობლოში დაგაბრუნონ.

— არ შეიძლება ნებართვა მივიღო, რომ სამშობლოში დავბრუნდე და ისევ მალე უკან აქ მოვიდე?

— არა, ეგრე არ ივარგებს.

— ხომ შეიძლებოდა, რომ მომკვდარვიყავ.

ბოლოს გადასწყვიტეს, რომ სამხედრო სასამართლოში თხოვნა გაგზავნონ და შუამდგომლობა გაუწიონ, რომ კალლე სოფელ სტენზეტს დარჩეს. არ ვიცით დააკმაყოფილეს მისი

თხოვნა თუ არა, მაგრამ კალლემ კნუტ შმიტის მიწა ბჯარით აიღო და სიკვდილამდის ამ სოფელში ცხოვრობდა.

პელლემ უნტერ აფიცერთან ერთათ სამხედრო წესით ეზო გაიარა, სამხედრო სალამი მისცა და მხიარული და ბედნიერი გასწია თავის სამშობლოში.

* * *

რამდენიმე წლის შემდეგ ერთ გაზაფხულის საღამოზე შორიდან სტენზეტში ცხენის ვაჭარი მოვიდა. იმან ამბავი მოიტანა, რომ შვეციაში, ერთ ბაზრობის დროს ცხენები რომ გაჰყიდა, მათ ჩასაბარებლათ წავიდა და საღამოზე სოფლის მახლობლათ ნახა ერთი მოხუცებული დედა-კაცი, რომელიც კითხულობდა—აქ ნორვეჟელი ხომ არავინ არისო. როცა გაიგო, რომ მე ვიყავი, თავის სახლში მიმიპატიჟა და მკითხა: სტენზეტი ვიცი თუ არა და მისი დიასახლისი ცოცხალი ხომ არის! მე ვუპასუხე, რომ მათი სახლიც კარგათ ვიცი და დიასახლისიც ცოცხალია მეთქი. მაშინ კედლიდან ჩარჩო ჩამოიღო, შუშის ქვეშ პატარა ქაღალდის ნაჭერი იყო, რომელზედაც ეწერა:

„პელლე ცოცხალია და კარგათ არის“.

შემდეგ სთქვა:

— მე გთხოვ, მოიკითხო ჩემ მაგივრათ ის ქალი და მისი პატარა ბიჭი; მას გადაეცი, რომ პელლე ცოცხალია და კარგათ არის. ამას უთვლის შვედელი ქალი—დედა, და გაიგებს რაშია საქმე.

* * *

მე შემხვდა პატარა ბიჭი პერი სოფელ სტენზეტიდან მაშინ, როდესაც ის ოთხმოცი წლისა იყო და სტენზეტში თეთრათ შეღებილ სახლში სცხოვრობდა, და ეს ამბავი მაშინ იმ მოხუცმა მიამბო.

ეკ. მ—ხისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამბავი ზესკნელისა.

## წერილი მესამე.

### კუდიანი ვარსკვლავი.



ცის მნათობი სრულებით მოულოდნელათ, უეცრათ მოგვევლინება ხოლმე ცის კამარაზე. უწინ, ძველის-ძველათ მეცნიერებმაც კი არ იცოდენ რითი აეხსნათ ეს ცის მაშხალა.

მაგალითად **არისტოტელს** ასე ეგონა: დედა-მიწიდან ცეცხლი (ვულკანი) რომ ამოხეთქოს— იმისი ხმელი გაზი ცაში ადის, გროვდება და იქ ჩირაღდანივით ინთებაო. — ხოლო ანთია იმდენ ხანს, ვიდრე დედა-მიწიდან გაზის ნაკადულის დენა არ შესწყდებაო, ამიტომაც არის, რომ კუდიან ვარსკვლავს თანა სდევსო გვალვა, ქარიშხალი — ქარტეხილი, რასაც თანა-სდევს შიმშილობა და ყოველი სხვა უბედურება.

მართლაც და ცრუ რწმენით გაქღენთილ ხალხს თავზარს ცემდა ეს არაჩვეულებრივი მნათობი და მეტადრე მისი უშველებელი კუდი, ცის კამარაზე კოხტათ გატყორცნილი. ხალხს სწამდა, რომ კუდიანი ვარსკვლავი (კომეტა) ღვთის რისხვის მომასწავებელია. დედა-მიწიდან განგებ ცაში ადის, რომ იქიდან მოგვევლინოს რაიმე უბედურების წინასწარ ნიშნათ— ყველასათვის ადვილ დასანახავათ, დასასჯელათ.

— —

**სენეკამ** პირველმა გამოაქვეყნა ის აზრი, რომ კუდიან ვარსკვლავს დედა-მიწასთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

დადგება ის დროც — ამბობდა ეს მეცნიერი— როდესაც ყველანი დარწმუნდებიან, რომ **კომეტა ცის მნათობია** ოლო მისი მოვლენის დღე წინასწარ შეიძლება გამოვიცნოთ,;

ეროვნული

ისე როგორც, მაგალითად შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ როდის მოხდება მზის დაბნელება. —

ხოლო განთქმულმა მეცნიერმა **ტიხო დე—ბრაგემ** პირველმა დაამტკიცა 1577 წ., რომ კომეტების მოძრაობა დედამიწის ატმოსფერის გარეშე სწარმოობსო. —

შემდეგში ასტრონომებმა (ვარსკვლავთ მრიცხველებმა) **კ. კეპლერმა** (1607—1618), ბორელმა, ჰეველიემ და დორფელმა ბევრი იკვლიეს და იძიეს, ესენი დაადგნენ კომეტების ნამდვილ გზას და კვალს. იმავე დროს უკვდავმა მეცნიერმა **ნიუტონმა** (1680 წ.) დაამტკიცა, რომ ეს მნათობნიც (კომეტები) ემორჩილებიან **სამყაროს ურთი-ერთ მიმზიდველობის კანონსაო.** მართლაც და ნიუტონის კანონი აქაც დიდებულათ გამართლდა.

1682 წელს მეცნიერების სასახელო ამბავი მოხდა. ევროპის ცაზე ბრწყინავდა იშვიათი რამ უზარ-მაზარი კუდიანი კარსკვლავი. ეს თავისთავათ სრულიად უწყინარი მნათობი ხალხს თავზარს ცემდა, ხოლო მეცნიერება ხარობდა, აღტაცებული დღესასწაულობდა ამ დიდებულ მოვლენას.

ამ დღესასწაულს დაესწრო აგრეთვე ინგლისის ასტრონომიც **ჰალლეი**, რომელმაც ნიუტონის ფორმულებით 24 კომეტის **ორბიტა** (სავალი გზა) გამოიანგარიშა, —ჰალლეი გზა და კვალში ჩაუდგა ამ კომეტასაც და თანაც ბედნიერმა აზრმა გაუელვა თავში. ეს მისი დროის კომეტა აიღო და შეადარა იმ კომეტას, რომელიც 75 წლის წინეთ (1607 წ.) იყო მოვლენილი.— ამ შრომაში დიდათ დაეხმარა ჰალლეის ის გარემოება, რომ 1607 წლ. კომეტის თანამედროვე მეცნიერს, გამოჩენილს ასტრონომს **კეპლერს** მაშინ დაწვრილებით ჰქონდა აღწერილი და თანაც ნაანგარიშევი ჰქონდა რა გზითაც მივიდოდა იგი მნათობი.— დიაღ, ჰალლეიმ ამ მასალით დიდათ ისარგებლა და ბოლოს იმ დასკვნას დაადგა, რომ იმ 1607 წლის და ამ მისი დროის (1682 წ.) ორივე კომეტამ თითქმის ერთის და იმავე გზით შემოუარეს მზესაო.—

წახალისებულმა მეცნიერმა ჰალლეიმ კვლავ იძია, იკვლია და უფრო შორს გასჭვრიტა გენიოსის გონებამ. ჰალლეიმ აღმოაჩინა, რომ „ეს ჩემი კომეტა, როგორც სჩანს, წინა საუ-

კუნოებშიაც ხშირი სტუმარი იყო — მოუცდენელათ თავის ვადაზე ყოველ 75 წელიწადში ერთხელ მოევლინებოდა ხოლმე ჩვენ ცის კამარასო“. მაგალითად ასტრონომიაში ცნობილ იყვნენ კომეტები 1607, 1532*) 1457 წ. და ასე ყოველ 75 წლის განმავლობაში, (ცნობებია ვიდრე ქრისტეს დაბადებამდე 12 წლის წინათ). —

ამ გვარად „ჩემი“ კომეტა წარამარად კი არ დაატრატუნებს სამყაროში, არამედ სასტიკათ ემორჩილება დისციპლინას — მნათობთა მოძრაობის კანონსაო — 75 წელიწადი დრო უნდება მზის გარშემო ყოველ შემოვლაზეო — ასე სჯიდა ეს დიდებული მეცნიერი და ბოლოს ისიც დაასკვნა:

— მაშასადამე აქედან სულ ადვილათ შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ჩემი კომეტა თავის ვადას არ მოსცდება და 75 წ. შემდეგ (1757 წ.) კვლავ მოგვევლინება და ასე მარად და მარად.....

— —

ვარსკვლავთ მრიცხველებმა, მოღვაწე მეცნიერის სახსოვრად და პატივსაცემათ ამ მნათობს **ჰალლეის კომეტა** უწოდეს.

ჰალლეი ველარ შეესწრო თავის კომეტის მოსვლას. იგი მიწას მიაბარეს 83 წლის მოხუცი 16 წლის ადრე ვიდრე მისგან დანიშნულ ვადაზე (1758 წ.) გამოჩნდებოდა მისი კომეტა — ვერ შეესწრო იმ დიდებულ გამარჯვებას, რომელიც დიდის ზეიმით იდღესასწაულა მისმა საყვარელმა მეცნიერებამ, ასტრონომიამ. —

შემდეგში მუშაობა, კვლევა-ძიება — გამოანგარიშება თავს იდვეს ასტრონომებმა **კლერომ** (Clairaut), რომელიც 18 წელიწადი უკვე იყო პარიზის აკადემიის წევრათ. ამ მეცნიერმა მთელი ერთი წელიწადი დრო მოანდომა ჰალლეის კომეტის გზის და მოსვლის ვადის გამოანგარიშებას. შრომაში დიდათ დაეხმარა თავის მეცნიერულის გამოანგარიშებით ქალბატონი **ლეპოტი** (Lepaute) განთქმული მესაათეს მეუღლე. ჰალლეის კომეტის შესწავლას დიდი ღვაწლი დასდო აგრეთვე **ლალანდმა** ცნობილმა ასტრონომმა.

---

*) 1531—1532 წლებში მოვლენილი კომეტა დიდის ცოდნით აღწერა იმ დროის მეცნიერმა ა პ პ ი ა ნ მ ა მეფის კარლოს მე V-ს კარის ასტრონომმა.

ამ მეცნიერთათვის შრომა გამოაქვეყნეს, რომ ჰალლეის წინასწარმეტყველობა უეჭველათ ასრულდებაო და მისი კომეტა 1758 წ. მოგვევლინება სრულის თავის ბრწყინვალებითაო. სამეცნიერო აკადემიამ დიდი ჯილდო დაუნიშნა იმ მახარობელს, ვინც პირველი შენიშნავდა ჰალლეის კომეტის გამოჩენას.

ამ ხელათ კომეტა მეცნიერებს რაღაცაზე გაუწყრა და სწორედ შობა დღეს 1758 წელს უბრალო მწყემსმა **პალიჩმა***) პირველმა შეასწრო თვალი ჰალლეის კომეტას და ჯილდოც ამას მიუსაჯეს.

ჰალლეის კომეტა იმითაცაა შესანიშნავი, რომ მთელ დედამიწის ზურგზე სუყველგან სჩანს. ამიტომაც მთლათ მსოფლიო მეცნიერებას მართლაც რო ბრწყინვალე შობის დღე გაუთენდათ და დიდებულათაც იდღესასწაულეს განათლების გამარჯვება.

ამ ზეიმის გამო გახარებული მეცნიერი **ლალანდი** დიდის აღელვებით სწერდა მაშინ: „დღეს მთელი ქვეყანა აღტაცებულია!.. ჰხედავს და მოწმობს რა საოცარ სინამდვილით აღსრულდა ასტრონომიული თეორია და მისი დასაბუთებული დებულებანი.— ეს ერთად ერთი არა ჩვეულებრივი, უმაგალითო სასწაული მოხდა ჩვენს მეცნიერებაში“.—

მართლაც და ამ სასწაულს შეედრება (ჩემის აზრით კი უფროც გადააჭარბა) მხოლოდ **ლევერიეს** გენიოსური შრომის ნაყოფი. ეს სასწაულიც მოხდა მე XIX საუკუნეში.

ლევერიეს გენიამ სრულებით უხილავათ, მხოლოდ კაბინეთში მუშაობით, „თავის კალმის წვერზე შენიშნა“ და აღმოაჩინა მინამდე უცნობი პლანეტა **ნეპტუნოსი****). — ადვილათ წარმოსადგენია რა აღტაცებამ და წრფელმა სიხარულმა მოიცვა მაშინ განათლებულ ხალხთა მთელი ქვეყნები. ვინ იცის როგორ აღმერთებდნენ გენიოსს, მეცნიერს, საფრანგეთის შვილს **ლევერიეს** ეროვნულ სიამაყეს.

---

*) როგორც ჰხედავთ გლეხ-კაცი პ ა ლ ი ჩ ი (Palitzsch), დრეზდენის ახლო სოფელ პროლიცაში მცხოვრები ნემეცი სულაც არ იყო მეცნიერი. მას მხოლოდ ეხალისებოდა, უყვარდა ასტრონომია და თავისთავათ მეცადინეობდა. ამ შემთხვევაშიაც სისტემატიურათ, მოუღალავათ შეუდგა ძებნას და ბედმა გაუღიმა.

**) ამ გასაოცარ აღმოჩენის შესახებ იხილე ჩემი წიგნი „ბუნება და ცხოვრება“ გვ. 27.

ბოლოს დროს **დამუაზომ, როზენბერგმა** და **პონტეკუ-ლანმა** იწინასწარმეტყველს, რომ ჰალლეის კომეტა კვლავ გამოჩნდება დანიშნულს ვადაზე 1835 წ. ასეც აღსრულდა, მხოლოთ კი სამი დღით დაიგვიანა. *)

იმავე მეცნიერმა **პონტეკულანმა** (Pontecoulant) გა-მოიანგარიშა, რომ ჰალლეის კომეტა **გზათ გამოგვივლისო** 17 მაისს 1910 წელს...

ჰო და ხომ ჩვენ თითონ გვქონდა იშვიათი ბედნიერება, მოწამე ვიყავით იმ დიდებულ მოვლენისა, რომელიც 1910 წ. მთელმა განათლებულმა კაცობრიობამ იდღესასწაულა...

ახლა კი ჩვენც აწი შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რომ 1984 წ. ქართული უნივერსიტეტის **ობსერვატორია** მა-ხათას გორაზე, მოწამე იქმნება ჰალლეის კომეტის მოსვლისა და, არვინ იცის, იქნებაც პირველ ყოვლისა ქართველმა ასტრონომმა შენიშნოს ამ მნათობის ჩვენს ცაზე გამოჩენა. იმედია მამა-პაპის ჩვეულებისამებრ, ეს ბედნიერი ქართველი ასტრონომი შენდობას შეუთვლის ამ სტრიქონების დამწერსაც.

—

ჰალლეის კომეტის გარდა ასტრონომიაში ცნობილ არიან კიდევ თორმეტი **დიდი** კუდიანი ვარსკვლავი ანუ კომეტა **) ამ კომეტებს დაანათლეს იმ მეცნიერთა სახელები, რომელთაც ან აღმოაჩინეს, ანუ დიდი შრომა გასწიეს კომეტის შესწავლის დროს—მისი პერიოდულ (დრო გამოშვებით) მოვლენის გა-მოანგარიშებით და სხვ.

ჯერ-ჯერობით მხოლოთ 800 კომეტა (ან ცოტა მეტი) არის აღნუსხული ასტრონომიის დავთარში. ამათში ზოგი ტე-

---

*) აქ უნდა შევნიშნოთ, რომ 1682 წლის კომეტა უნდა გამოჩენი-ლიყო 1757 წ. და 1832 წ., მაგრამ გამოჩნდა 1835 წ. ეს ორი-სამი წლის დაგვიანება წინასწარ იცოდენ მეცნიერებმა რა მიზეზითაც იყო, ზოგჯერ თურმე კომეტების მსვლელობა მიხვეულ-მოხვეულ გზით ხდება (იქნება რო პლანეტების მიზიდველობის მიზეზით?) და ამიტომ დაიგვიანა ჰალლეის კომეტამაც. ამ გვარათ დღეს მეცნიერება ამბობს: ჰალლეის კომეტა 76 1/3 წ. უნდება მზის გარშემო შემოვლასაო.—მაშასადამე სასწორს არყევს სულ რაღაც თექვსმეტი თვე.

**) უცხო ენაზე Comes (კომეს) კუდს ჰქვიან და აქედან წარმოსდგა სახელი კომეტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესკოპიურია, მხოლოთ ტელესკოპით (დურბინდით) სჩანდა, ზოგიც ისე უბრალო თვალით. მაგრამ კომეტების რიცხვი აუარებელია. ჯერ კიდევ **კეპლერმა** წარმოსთქვა, რომ ცაში კომეტები იმდენი ირევა, რამდენიც ზღვაში თევზიო. ჩვენ ისე თვალით ვერა ვხედავთ, ხოლო ტელესკოპით ვინც მუშაობს სჩანს, რომ ყოველ წლივ 5—6 ახალი კომეტა მოევლინება ხოლმე ჩვენს დედა-მიწას.

---

ასტრონომმა ბრედიხინმა ძრიელ ბევრი იმუშავა იმის გასაგებათ თუ რისგან, რა ნივთიერებისაგან შესდგება კომეტის თავი და მეტადრე მისი უშველებელი კუდი. ამისათვის ორმოცზე მეტი კომეტის კუდი გამოიკვლია და შედეგი დააკანონა მეცნიერებაში.

თანაც ცდილობდა გაეგო და გამოენახა ის კანონი, რა კანონსაც (ფიზიკურს) ემორჩილებიან კომეტები, როცა მზეს უვლიანო. მაგალითად, რა გავლენა აქვს მათზე **მზეს, სამყაროს ეთერს, პლანეტებს** და სხვ...

ასტრონომი ბრედიხინის გამოკვლევით ზოგი კომეტის კუდი წარმოუდგენელი სიგრძისა აღმოჩნდა—თავის კუდს მთლათ ცის კამარაზე გარდი-გარდმო გასჭიმავს ხოლმე. მაგალითად 1843 წლის დიდი კომეტის კუდი 250 მილიონი კილომეტრის*) სიგძე იყო. ეს რასაკვირველია იშვიათია.—კომეტების მეტ ნაწილს, რომელნიც მხოლოთ ტელესკოპში სჩანან, ამათ ან—პატარა კუდი აქვთ, ან სულაც უკუდონი არიან. —მაგრამ ერთი სასწაული კი მოხდა: 1744 წლ. კომეტას მარაოსავებ **ხუთი კუდი** ჰქონდა ტურფათ გაშლილი ცის კამარაზე.—

---

სხვათა შორის მეცნიერებმა ისიც აღმოაჩინეს, რომ კომეტა და მისი კუდი თავის საკუთარის სინათლით ბრწყინავს, აშუქებს და თანაც მზისაგანაც სესხულობს სხივებს, რაიც უფრო აძრიელებს კომეტის ბრწყინვალებას. მიუხედავათ ამისა კომეტა ვარსკვლავთა სინათლესთან მაინც სტყუის, ვერ ამქრალებს. ეს რა თქმა უნდა საკვირველი მოვლენაა, რომ

---

*) კილომეტრი ათასი ადლია.

კომეტას კუდისაგან დაჩრდილული ვარსკვლავები იმავე ძალით კაშკაშებენ, ანათებენ.—

თვით შემადგენელობა კუდიან ვარსკვლავებისა, მეტადრე კუდი იმდენათ, მჩატე, ხახუტი აღმოჩნდა, რომ თუ გინდ კიდეც დაეტაკოს ოდესმე ჩვენს დედამიწას, მაინც ვერავითარ უბედურებას ვერ გამოიწვევს,—შეიძლება თვით კომეტა დაიმსხვრას და დედა-მიწას კი ვერას დააკლებს. მაგალითად, 1861 წ. დედა-მიწას კომეტა შეეფეთა. დედა-მიწამ კომეტას კუდი ისე გაანგრია, რომ არც კი ვისმე შეუტყვია. მხოლოთ ერთად-ერთმა, მეტათ გულმოდგინე ასტრონომმა შეამჩნია და ტელეგრაფით აცნობა ყველა ობსერვატორიებს*) რამდენიც კი დედამიწის ზურგზე არსებობენ.

საზოგადოთ მეცნიერებს შეუძლებელათ მიაჩნიათ, რომ ოდესმე მოხდეს და კომეტა დედა-მიწას დაეჯახოს, მაგალითად ამ ხუთი წლის წინეთ 5 მაისს მსოფლიოს მეცნიერება დღესასწაულობდა იმ დიდებულ წამს, როდესაც **ჰალლეს კომეტა მეტათ ძრიელ მოუახლოვდა** ჩვენს ცოდვილს დედა-მიწას. ზოგიერთა გაზეთის წყალობით, რომელნიც ხალხს აფრთხილებდენ, თუ გახსოვთ რამდენმა განიცადა მაშინ უსაფუძვლო შიში და ძრწოლა.—

იცით, თურმე რას უძახიან მეცნიერები **ძრიელ ახლოს?** — დედამიწიდან ჰალლეის კომეტამდე **ოცი მილიონი ვერსი** მანძილი ითვლებოდა სწორეთ იმ დროს, როდესაც „მეტათ ძრიელ“ მოუახლოვდა დედა-მიწას! აი ამ მანძილს უძახიან თურმე ასტრონომები „უახლოეს წერტილს“.

ასტრონომის **ბებინეს** აზრით ეს მოვლენა (დაჯახება) შეიძლება 15 მილიონ წელიწადში ერთხელ ან მოხდეს, ან

---

*) ობსერვატორია—საგანგებო დაწესებულებაა, სადაც მორიგი მეცნიერები დარაჯობენ,—ტელესკოპით ცას შესცქერიან, იკვლევენ.—აქვე მეცადინეობენ ფიზიკურ და ასტრანომიულ იარაღებით. გარდა ცის ვითარებისა, ფიზიკურ მოვლენათ თვალს ადევნებენ—კვლევა-ძიებაში არიან. აქედან ატყობინებენ მეზღვაურთ და სოფლის მეურნეთ თუ რომ საშიში მოვლენა უნდა მოხდეს.—ზღვის ღელვა, ციკლონი, გვალვა, სეტყვა, ყინვა, ქარიშხალი და სხვ.—ამ სასარგებლო დაწესებულებისათვის სახელმწიფონი ხარჯს არ ზოგავენ—საგანგებოთ აშენებენ სადმე უმაღლეს მთაზე უშველებელ კოშკებს მდიდარ მოწყობილებით.

არა. და თუ მოხდა მით უკეთესი.—მოწამე გავხდებით უმშვენიერეს ილლიუმინაციისა, რომელიც იფეთქებს ცის კამარაზედ. დედა-მიწასთან შეჯახების დროს კომეტა დაიმსხვრევა, მისი შემადგენელი ნივთიერება იფეთქებს, აპრიალდება და აუარებელ ნაკადულებათ მცვივანა ვარსკვლავები დაიწყებენ სრიალს.

---

ბოლოს და ბოლოს არ შეიძლება ისიც არ გიამბოთ, რეებს არ ბოდავდა ხოლმე უწინდელი ხალხი. მაგალითად 1680 წ. კუდიანი ვარსკვლავი რო გამოჩნდა, ერთმა, ვიღაცას ქათამმა რომში კვერცხი დასდო. ქათმის პატრონი და ხალხიც ყველას არწმუნებდა, რომ კვერცხზე გამოხატულია კომეტას სახეო! ეხლა რა თქმა უნდა სიცილათ არავის არ ჰყოფნის, მაგრამ იმ დროს ჟურნალ-გაზეთებიც კი გაცხარებული მსჯელობდენ ამ თილისმა კვერცხის შესახებ.

ჰალლეის კომეტამაც „ისტორიული კომეტის“ სახელი გაითქვა.— 1066 წ. **ვილჰელმი დამპყრობელი** ამხედრდა ომი აუტეხა ბრიტანიის მეფეს **ჰაროლდს**, სწორეთ ამ დროს ცაზე გამოჩნდა ჰალლეის კომეტაც. მეფე ჰაროლდის მეუღლემ უშველებელ **ხალიჩაზე** *) მოქარგა კომეტის სახე ცაზე გამოქიმული, ხოლო ძირს, მარცხნივ მოსჩანს ზარდაცემული გაოცებული ხალხი. ამათ მარჯვნივ გამოხატულია ინგლისის მეფე ჰაროლდი, რომელიც სამეფო ტახტზე ზის და შიშით და ძრწოლით შესცქერის კუდიან ვარსვლავს. მართლაც და ჰალლეის კომეტამ ბედნიერება ვერ მოუტანა მეფეს, იგი დაიღუპა ჰასტინგის ახლოთ, როდესაც გაცხარებული ვეფხივით ებრძოდა ვილჰელმ დამპყრობელის ჯარს.

---

საზოგადოთ კომეტის მოვლენის დროს, რაც კი იმ წელს, ან შემდეგ, უბედურება მოხდებოდა, ყველაფერს კომეტას აბრალებდენ: სიცივე ყინვა, მოუსავლობა, დიდი სიცხე პაპანაქება, წყალ რღვნა, გვალვა, ქარიშხალი, მიწის ნძრევა, შავი ჭირი და ყოველი მოარული; შინა ომი ძმათა შორის

*) ეს თავისებური რელიკვია (ძვირფასი ისტორიული სახსოვარი) დღესაც ინახება ინგლისის მეფის სასახლეში.

ანუ გარეშე სახელმწიფოსთან; ამბოხება ხალხისა (რევოლიუცია), მთავრობის გადადგომა ან გამოცვლა, ანუ რჯულის გამოცვლა, ყოველივე ამას რაიც კი არღვევდა ხალხის ცხოვრების დონეს, სიმშვიდეს, ან წეს-წყობილებას, ყოველივეს მიაწერდნენ კუდიანი ვარსკვლავის ზეგავლენას. არამც თუ ხალხი, ბევრი სწავლულიც ემხრობოდა ამ ცრუ შეხედულობას, მაგალითად, დაბრძენებული მწერალი პეტრე მეგერლინი (ბაზელიდან) ცხარე წერილებს ჰბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში—ყველა უბედურებას კომეტებს უკავშირებდა, მაგრამ რათ გვიკვირს, რომ ამ სამასი წლის წინათ ხალხიც და განათლებულნიც



დედა მიწა და კუდიანი ვარსკვლავი.

ასეთ ცრუ რწმენით იყვენ გაჟღენთილები. დღეს ჩვენ, ქართველები მეოცე (XX) საუკუნეში ვცხოვრობთ და ჟერაც კერპთმსახურების დროის ცრუ რწმენისთვის თავი ვერ დაგვიღწევია!.. გვწამს რო **ეშმაკი არსებობს**, ალებით და ქინქებით სავსეა წყალი და ხმელეთი; ღვთის რისხვა ჭირს: **ყვავილს, ქუნთრუშას, წითელას**—ბატონებს ვუძახით, ანგელოზი გვგონია. საშინელი ფალარათობა **სისხა** მუცელკეთილს ვეძახით, ბატონები გვგონია. მკითხავი, ჯადო, თილისმა, შელოცვა-დღესაც დიდს პატივშია. აიღეთ ახლა საჯას სამოცდა სამი წმიდა გიორგი და მათი რისხვა—რკინის უღელი. დადიანი და სხვ. ან კი პირში სული როგორ-ღა უდგია საწყალ ჩვენს გლეხკაცს!? მიუმატეთ ყველა ამათ ახლა შავი წმ. გიორგები, ეგრეთ წოდებული „სტრაჟნიკები“ და მაშინ მიიღებთ ქართველი გლეხ-კაცის სულიერ ცხოვრების სრულს სურათს.

**ილ. ალხაზიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთში

უცხო ქვეყნის მდინარევ,
საით მიეჩქარები,
საით არის შენი გზა
და ზღვისაკენ კარები?
თუ ჩაუვლი სამშობლოს,
ცრემლის ფრქვევით უთხარი,
რასაც მუდამ დღე-ღამე
მოვსთქვამ გულით მწუხარი, —
უთხარ: გარდაქცეულმა
მწუხარებათ, კვნესათა,
შვება ყველგან ვიპოვნე —
სამშობლო კი ვერსად!..

ი. მჭედლიშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# † ნიკო ლომოური



ალაქ გორში, 17 აპრილს გარდაიცვალა ჩვენ საზოგადოებაში კარგათ ცნობილი ნიკო ლომოური. მოგვაკლდა საუკეთესო მუშაკი, დამსახურებული მწერალი, კეთილშობილი და სათნოიანი მასწავლებელი. ნიკო ლომოური დაიბადა 1852 წ. ს. არბოში (ქართლში). იქვე გაატარა მან თავისი ყმაწვილობა. მღვდლის შვილი ნიკო ერთავათ სახლში იზრდებოდა, გლეხის პატარა ბავშვებთან, მათთან ერთად ახელდა თვალს, აკვირდებოდა და უწევდა ანგარიშს გარემო ბუნებას და ცხოვრებას, იმსჭვალებოდა მათის შეხედულობით და რწმენით; იყვარებდა მათ ზნეს, ჩვეულებას. ლხინობდა მათის ლხენით და თითონაც იტანჯებოდა. მათი ტანჯვა-ვაებით თავისებურათ მომხიბლელ და მწყობრ გლეხის მსოფლმხედველობაში, მათ გონებრივ და სულიერ სალაროში, მათ ნაღველის გამქარველ და იმედის მომცემ თქმულება ლექსებში ნიკოსთვის გაუგებარი არა დარჩენილა რა, მისი სული და გულისათვის უცხო არაფერი ყოფილა. პირ-იქით ყველაფერი ეს ღვიძლი განცდა იყო ნიკოსი, მან იცოდა ფასი და ღირსება ხალხის რწმენა-შეხედულობისა და იშვიათის პატივისცემით და მოწიწებით. ეპყრობოდა მას, ავს აშორებდა, კეთილს და კარგს კი ამხნევებდა.

დიდი გავლენის პატრონი, ქართული მწერლობის და ჩვენი წარსულის კარგი მცოდნე, მშვენიერი და სასოებიანი წირვამლოცველის მოძღვარი, მამა ნიკოსი — საუკეთესოთ აგვირგვინებდა ხალხის ასეთ გავლენას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვარებდა და სიამაყის გრძნობით იმსჭვალებოდა პატარა ნიკო ჩვენი წარსულის წინაშე, მამის გატაცებით სავსე სასტიკ და სამართლიან მსჯავრში წარსულის შესახებ იგი აშკარათ ხედავდა, თუ ვის აწვა მთელის თავის სიმწვავით მძიმე უღელი ჩვენი ხანგრძლივი ცხოვრებისა და ერთხელ გლეხთა სიყვარულით ატოკებული გული ხდიდა მას მათ მონათ.

საშუალო სწავლის სემინარიაში დასრულების შემდეგ, უმაღლესი სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში მიიღო. აქაც ნიკო თავის გულის ყურს იქით ჰხრიდა, სადაც პატიოსნება, კაცთ მოყვარეობა, ჩაგრულთა და ბეჩავთა ქომაგობა იყო და თავის მოღვაწეობის და ცხოვრების აზრათ სწორეთ ამ კეთილშობილ მიზანს ისახავდა, მათ განხორციელებისათვის დაუღალავათ და შეუდრეკლათ შრომობდა.

ჯერ ეხლა რა არის ჩვენი ცხოვრება, მაშინ ხომ უფრო ნაღველის ამშლელი რამ იყო!

ხალხის უმრავლესობა სიღარიბის და უვიცობის ბურუსში ჰლაფავდა სულს. გაუნათლებელი, უუფლებო, ღატაკი — იგი ისეთს მასალას წარმოადგენდა, სადაც უპასუხისმგებლოთ თვითნებობდენ მოვახშე, მებატონე, მოხელე და სხვანი.

ჩვენი ერის სხვა წოდებანი არავითარ იმედს არ იძლეოდენ. თავად-აზნაურობა მოხელეობისაკენ მიისწრაფვოდა, გადაგვარების გზას ადგებოდა, უაზროთ ჰფლანგავდა მამულ-დედულს; ჩვენი მიწა-წყალი სხვას უვარდებოდა ხელში და მით გლეხთა მდგომარეობა უფრო უნუგეშო და აუტანელი ხდებოდა.

ხსნა ისევ გლეხთა წოდების გაუმჯობესობაში იყო.

ბუნებით უხვათ დაჯილდოვებულს, მხნეს, სალს, კეთილს და პატიოსანს გლეხს შეეძლო თავისი და ქვეყნისათვის ხსნა და ბედნიერება მოეტანა.

ამიტომ მთელ თავის ყურადღებას მაშინდელი მოღვაწენი ამ წოდებას აქცევდენ და მის აღორძინებაზე ამყარებდენ იმედებს.

თავისი თვისებებით გლეხი სატრფიალო საგანი უნდა ყოფილიყო ყველასათვის, ვისაც-კი სწამდა ქვეყნის ბედნიერე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა, საუკეთესო ცხოვრება. და მაშინდელი მოღვაწენიც ათაყვანებდენ და ეტრფოდენ გლეხის მომავალს. მათ სწამდათ — საკმარისია გლეხმა თავი დააღწიოს გაუნათლებლობის ბურუსს, შეიგნოს თავისი უფლება, მისცეს მას საშუალება თავისუფლათ მოიხმაროს ბუნებისაგან უხვათ მიცემული ფიზიკური და ზნეობრივი თვისებანი, რომ ქვეყნიერებაზე დამყარდეს ბედნიერება და სიყვარული.

საქმით და სიტყვით ემსახურებოდა ნიკო ლომოური ამ ღირსეულ და დიდს აზრს.

თავის მოთხრობების საგნათ იგი სოფლის ცხოვრებას იღებს და გვიხატავს გლეხს მთელის თავის მომხიბვლელი თვისებებით.

მკითხველი უნებლიეთ გრძნობს სიყვარულს ამ გლეხის წინაშე და მოსისხლე მტრათ ხდება ყველა იმათი ვინც კი ხელს უშლის მასში ჩამარხულ კეთილ სურვილების განხორციელებას. მხურვალეთ მოუწოდებს ამავე მოთხრობებში განათლებულ მკითხველს—შეიგნოს თავისი მოვალეობა ქვეყნისა და გლეხის წინაშე და სწავლა-განათლების შეტანას ხალხში ხელი შეუწყოს.

ყველაფერ ამას ნიკო მოგვითხრობს მშვენიერი დარბაისლური, ქართული ენით, მომხიბლელი და გამტაცებელი სოფლის სურათებით. ამასვე ემსახურებოდა იგი საქმით.

ნიკო მასწავლებლობდა, ზრდიდა სოფლის მასწავლებელთ და დაფანტულთ ჩვენის ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში უნერგავდა დიდ საქმეს, ხალხის სამსახურს.

დინჯი, სათნოებით სავსე, მოსიყვარულე და ყოვლად კეთილი ადამიანი, მშვენიერი მოლაპარაკე და დიდი მცოდნე თავისი საქმისა, ნიკო ისეთი მასწავლებელი იყო, რომელმაც სიცოცხლეშივე აიგო სიყვარულის ძეგლი ყველა მოწაფეთა შორის — საუკეთესო და სანეტარო ჯილდო მასწავლებლებისა და ისეთი ხსოვნა და პატივისცემა დასტოვა, რომ იგი შარავანდედათ იქნება ყველასათვის, ვისაც კი ხალხის სამსახურით და კეთილშობილი გრძნობებით ერჩის გული.

საუკუნოთ დარჩება ხსოვნა კარგი ადამიანისა, დამსახურებული მწერლისა და კეთილი მასწავლებლისა.

შ. ქ—მიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ოსმალეთი

**ხალხის ხასიათი.**

(შემდეგი)



სმალეთში დროს სრულებით არ აფასებენ. იქ ხშირათ მისდევენ ანდაზას: „სიჩქარით სოფელი არავის მოუჭამიაო“. შეხედეთ ოსმალოს, როდესაც ის მიდის ქუჩაში თავისი წითელი ფესით, ჩითის პერანგით, განიერ შარვლით. მას მოძრაობაში, ყოველ მიმოხვრაში სიზანტე ეტყობა. ლამაზ, შავ თვალებში გამოიხატება იგივე სიზარმაცე, დაღლილობა. დინჯათ, წყნარათ, ჩუმათ მიმოდის ოსმალო. იმავე წუთში გაარჩევ მას სხვა თემისაგან. ის არავის არ დაელაპარაკება, არ ჰკითხავს არაფერს, არ ეტყვის ახალ ამბავს, თუ მისცემს ვისმეს პასუხს—მოკლეთ და არც კი შეხედავს მკითხველს, თითქოს მის წინ ბოძია ამართულიო. ეტყობა რომ ეზარება სიარული, მოძრაობა, ლაპარაკი. თუ კი შესაძლოა სადმე დაჯდომა, ოსმალო უეჭველათ დაჯდება, აანთებს თავის ჩიბუხს და იქნება ასე გაუნძრევლათ მთელი საათობის განმავლობაში. ხანდისხან ვერც კი გაარჩევთ სძინავს მას, ოცნებობს, თუ გართულია ფიქრებში.

უმეტეს ნაწილათ ოსმალებს უსიცოცხლო სახე აქვთ, ვერავითარ სულის მოძრაობას ვერ წაიკითხავთ მასზედ. ახალგაზრდობაც კი, რომელიც დიდ ქალაქებში უკვე ევროპიელებს წაავავს, ეს ახალგაზრდობაც ზანტი და გაუნძრეველია. იქნება ამაშია მიზეზი მათი ჩამორჩენილობისა. ძნელი გამოსაცნობია საიდან არის ეს დაღლილობა, გაუნძრევლობა. უეჭველია ამაში მიზეზი უდევს ოსმალოს სოციალურ მდგომარეობას, როგორც ბატონებისას, რომელნიც სცხოვრობენ მო ების შემნ-

წეობით, აგრეთვე ცხელ ჰავას, რომელიც ასუსტებს და აზანტებს სხეულს.

ეს სიცხე მოქმედობს აგრეთვე ევროპიელებზედაც. ოსმალეთში მათ მიიღეს ჩვეულებათ, სადაც კი უნდა იყვენ, ისე მოეწყონ, რომ დასვენება შეიძლონ.

ოსმალომ არც სიმღერა იცის მხიარული, წკრიალა. თუ ალილინდება მისი სიმღერა გამოვა ერთგვარი დამაძინებელი, მკვნესავი. ოსმალოს ხასიათზე ლაპარაკი ძნელია. როგორც ყოველგან, ოსმალოებშიაც არიან კარგებიც და ავებიც, პატიოსნებიც და უპატიოსნონიც. როგორც სუყველგან აქაც ხალხი დაიყო წოდებათ, ყოველ წოდებას თავისი ხასიათი უჩანს.

ოსმალოში არ არსებობს გვარები, ერთმანეთს სახელით იხსენიებენ, ხან-და-ხან იმ ადგილის სახელსაც დაუმატებენ, საიდანაც არის ეს კაცი, მაგ. მახამედ ალა ტაიფელი, ე. ი. მახამედი მიწის მფლობელი ტაიფიდან. ოსმალოს არა აქვს გვარეული სიამაყე. ოსმალო არ არის წინაპრების თაყვანის მცემელი.

ოსმალო სტუმრის მოყვარულია. სტუმართ მოყვარეობა შეადგენს მის ხასიათის თვისებას. ცუდი გზები, ყოველგვარი ხიფათი, რომელიც მოელის მგზავრს გზაში არის მიზეზები, რომლის გამო აღმოსავლეთში სტუმართ-მოყვარეობამ მიაღწია უმაღლეს წერტილამდე და გამოიწვია ურთიერთ შორის დახმარება. ანატოლიაში და ალბანიაში ისე სასტიკათ ასრულებენ ამ ადათს, რომ ალბანელთან მოსისხლე მტერიც მივიდეს, რომ ხელში ძას ალბანელის შვილის მოკვეთილი თავიც ეჭიროს, იმ შემთხვევაშიაც ალბანელი მოვალეა ის მიიღოს, გაუმასპინძლდეს. აი სადამდის არის მიხწეული სტუმართ მოყვარეობა ოსმალეთში. ზოგი უმასპინძლდება მხოლოდ თავის რჯულის კაცს, მაგრამ მაინც ოსმალო ძლიერ ზრდილობიანი და მოსიყვარულეა. ოსმალო აგრეთვე შემბრალებელია და დიდსულოვანი. უნდა ნახოთ, როგორ ფრთხილათ უვლის ოსმალო ქუჩაში მწოლარე ძაღლს, რომ არ შეაწუხოს; თქვენ ძალიან გაგაკვირვებთ ასეთი საქციელი.

მდაბიო ხალხი იმათში ძლიერ პატიოსანია, იგივე არ ითქმის მოხელეებზე და მათ გამგეებზედ. სანამ ოსმალო და-

რიბია და არ ჩავარდნილა განსაცდელში, მანამდის ის პატიოსანია; მაგრამ როგორც კი რამე თანამდებობას მიიღებს, ან ფული ჩაუვარდება ხელში, მაშინ ეძლევა მიზეზი უპატიოსნოთ მოიქცეს და ბევრ ცოდვასაც ჩაიდენს ოსმალო.

ოსმალო ძლიერ წაჰგავს თავის წინაპრებს ქობად მავალ თურქებს, რომელნიც მე-XIII საუკუნოში შემოესიენ მცირე აზიას. ოსმალო სადაა, მეამიტი, მომთმენი, მადლიერი, მაგრამ ამავე დროს ცრუ მორწმუნე, ტრაბახა, უვიცი, ტლანქი. ბუნებამ დააჯილდოვა იგი ჭკუით და კეთილი გულით, მაგრამ არ მისცა მას გემოვნება და შემოქმედებითი ნიჭი. ოსმალო ძლიერ უვიცია. მდაბიო ხალხისათვის, დიდი ხანია რაც არასფერი არ არსებობს, რაც კი მათ რწმენას არ ეხება. ევროპიულ მეცნიერებას იგინიც თითქმის ისე უყურებენ, როგორც ხალიფი ომარი. ხალიფმა ომარმა ბრძანა დაეწვათ შესანიშნავი ალექსანდრიის წიგნთ-საცავი და მან ასე სთქვა: „თუ მაგ წიგნებში სწერია ის, რაც არ არის მოხსენებული ყურანში, ეგ წიგნები მავნეა, თუ კი სწერია ის, რაც უკვე არის ყურანში, ეგ წიგნები მეტია“.

უცხო ქვეყნებზედ და ხალხებზედ ოსმალოს ძლიერი ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. ხალხმა არც კი იცის, თუ რა ადგილი უჭირავს ოსმალეთს სხვა სახელმწიფოთა შორის.

ბაღდადის რკინის გზას, რომელმაც გასჭრა ოსმალეთი შუა გულში, ჰყავს თავისი მოსამსახურეები და აქვს გავლენა ხალხზედ, ისინი უკვე ევროპიელებს უცქერიან პატივისცემით, გრძნობენ მათ ძალას, მაგრამ მიყრუებულ კუთხეებში ხშირათ ისეთი მაგალითებია, როდესაც ფანატიკოსები, უმეტესათ ქალები, ჰსვრიან ევროპიელს ფეხსაცმელს. დიდი ძალა და მუშაობაა საჭირო, რომ ოსმალები ამაღლდენ ევროპიელებამდის.

(შემდეგი იქნება)

ა. ფ—ასი.

Открыта подписка на 1915 годъ

**НА ГАЗЕТУ**

# „Закавказская Рѣчь"

(Годъ изданія шестой).

**Подписная цѣна**

| Съ доставкой на домъ: | Въ Тифлисѣ. | Въ провинціи. |
|---|---|---|
| На годъ . . . . . . . | 6 руб. — коп. | 8 руб. — коп. |
| „ полгода . . . . . | 3 руб. 50 коп. | 4 руб. 50 коп. |
| „ 3 мѣсяца . . . . | 2 руб. — коп. | 2 руб. 25 коп. |
| „ 1 мѣсяцъ . . . . | — 75 коп. | — 75 коп. |

Отдѣльный номеръ 5 коп.

**АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь", Дворцовая ул. д. Сараджева. Для телеграммъ: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь".**

Редакторъ **К. . Тумановъ** Издатель **Э. З Горделадзе.**

თბილისის წიგნის მაღაზიებში და ავტორთან (თბილისი, ბარია-თინსკის ქუჩა, 6) ისყიდება:

## Характеристики и воспоминанія

*Кн. Г. М. Туманова.*

**სამი ნაწილი, ფასი თითო ნაწილისა—50 კ.**

შინაარსი: გ. წერეთელი.—თ. დავ. ერისთავი.—ვ. ჩერქეზიშვილი.—ა. ხახანაშვილი.—ვ. პეტრიაშვილი.—ა. ყაზბეგი.—თ. რაფ. ერისთავი.—ნ. ბარათაშვილი.—თ. ვახტ. ორბელიანი.—ზ. ანტონოვი.—ლ. არდაზიანი.—ი. ნინოშვილი.—გ. სუნდუკიანცი.—ა. ცაგარელი.—თ. ილ. ჭავჭავაძე.—ქართული თეატრის ისტორიიდან.—რუსის და სომხის მწერლები და სხვა მოღვაწეები ჩვენში, და სხვ.

(10)

2/39

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯეჯილი

## საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

### ოცდა მეექვსე წელიწადი.

ჟურნალი დაარსებულია 1890 წელს.

---

გამოვა 1915 წ. თვეში ერთხელ, ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში ეღირება 4 მან., ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ.

**ხელის მოწერა მიიღება: თბილისში—„ჯეჯილის“ რედაქციაში,** (არტილერიის ქუჩა, № 5.)

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“